136
1992/2
ეროვნული ბიბლიოთეკა




— რამ გაგაგიჟა, კაკოია?! მართლა რუსი გენერლის გოგო მო-
გყავს ცოლად?!.
— მევიყვან, აბა, რას ვიზამ?! „ბეტეერი“ მოყობა მზითევში,
„სალიარკაზე“ მუშაობს!..

# ნიანგი

ISSN 0132-6015
11—12
ივნისი
1992

# ნოდარ შამანაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეცრად გაჩნდა იმედი!..

ერთურთის მტრობით, ძაგებით,
ლანძღვით და მახის დაგებით,
ყველა მივედით უფსკრულთან,
მავთულხლართებში გავებით!..
და, აი, გაჩნდა იმედი,
კაცი მოვიდა ჭკვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი,
ქველი და გამგებიანი.
უწრთვნია ჭკუა-გონება
და ცოდნით აულესია,
თუმც არც ზღაპრული ხვითოა,
არც ბიბლიური მესია, —
კაცია ჩვეულებრივი,
თავისი ნაკლით, ღირსებით,
მოყვარეს ხვდება მოყვრულად
მტრისთვის ბლომად აქვს ისრები!
მის დინჯ საუბარს რომ ვუსმენ,
კაცი იმედით ვივსები!

## ორად გაიყო!..

ყველა უგნურმა წვლილი გაიღო,
არსაქებელი ვაქეთ და ვაქეთ,
ისედაც მცირე საქართველო
ორად გაიყო —
აქეთ და იქით,
იქით და აქეთ!
იქით და აქეთ,
აქეთ და იქით,
უფსკრულთან ვდგავართ
მხარე ორივე,
ამდენ სიგიჟით,
სიმდაბლით, ლიქნით,
ღმერთი გაგვწირავს,
წარღვნას მოგვივლენს!
წარღვნას მოგვივლენს,
კიდეც გვეკუთვნის,
ზარებს არისხებს
შიში მზარავი,
პირისპირ ვდგავართ
თოფით, ბებუთით,
გამშველებელი არ ჩანს
ა რ ა ვ ი ნ!..
გულებში ბოღმა
ჭვარტლივით ბოლავს
და ბოროტება
წრიალებს მწარედ!..
ისედაც მცირე საქართველო
გაიყო ორად —
აქეთ და იქით,
იქით და აქეთ!

## სიყვარულის ბალადა

გულს მოუნდა გამინდვრება, —
ტრფობის ცეცხლით ნაიარევს,
და რუსთაველზე გავიარე.
გადავხედე შნოიანებს,
ლერწამტანებს, ხალიანებს,
მივიარე, მოვიარე,
ავიარე, ჩავიარე!..
გავერიე ჭრელ ხოხბებში,
მაწვალებდა ნატვრა დიდი,
არ დამინდეს, ვერც მოვეშვი,
გადამთელეს ნაბადივით!..
ბოლოს ერთმა, ოქროს ფასად,
გამიღიმა, წარბი გახსნა,
შემემატა მძლავრად ძალა
და გავყევი კვალდაკვალა,
მაგრამ განა კაფანდარამ,
თვალჟუჟუნამ, თვალმაყვალამ,
გამახარა, ამაყვავა
და ღრუბლები გადამყარა?
მიითვალა ჩემი გულის
ურვაც არად, ჭმუნვაც არად,
წყაროს წყალზე ჩამიყვანა,
დალევა კი... უკაცრავად!
თითქოს აღარ შემრჩა სულიც, —
განაწამებს, განაოცებს!
შინ მივედი გულმოსული
და მეუღლე გადავკოცნე!..

. . .

ეს იყო ძველად, ზეციდან
რომ მინათებდა ასი მზე,
ახლა კი სევდით ავსილი
ვდგავარ რუსთველის გამზირზე!
რას ხედავს ჩემი თვალები,
რას მოვესწარი, ოჰ, ღმერთო!
ის სიყვარულიც დამენგრა,
გულში კოცონად რომ მენთო!

## მიტინგობანა გახშირდა!..

გახშირდა მიტინგობანა! —
სულ მიტინგი და მიტინგი!..
სურთ გაარკვიონ მიტინგზე, —
მე ვინა ვარ და ვინ იგი!

იქით მიტინგი ბობოქრობს,
მიტინგი არის აქეთაც,
არის წინასწარ ჩაწერა,
შეთანხმება და დაკვეთა!..
ჰიმავენ კისრის ძარღვებს და
ენას იქნევენ მათრახად,
ლაფი იღვრება იმდენი,
პროსპექტი აატალახა!..
სიყვარულს ყავლი გასვლია,
სიძულვილს არ აქვს საზღვარი,
ტყუილ-მართალი ირევა,
ვით წყლის და ჰაერის ნაზავი!
ზოგის აქცია მატულობს,
დაეცა ზოგის აქცია,
მიტინგმა ზოგი ლიდერი
ცირკის კლოუნად აქცია!
ბალღს ნაბანევ წყალს ატანენ,
ერს არევია სავალი,
სიგიჟეს გასავალი აქვს,
სიყალბეს შემოსავალი!
დავიწყებიათ საქმენი! —
ეს მათი საქმე არც არი!..
ყბედი საბერველს უბერავს
და მძლავრობს მტრების ხანძარი!..
ქართველი პატარავდება,
ცა გვიდაბლდება ქართული,
დარდით ვდნები და ვილევი,
გულს მიგლეჯს სევდის შამფური!..
რა ვუყო, რა გზას დავადგე,
რა გვეშველება, არ ვიცი!..
ეჰ, საქართველოვ, მე შენზე
უკვე შავები ჩავიცვი!



## ფართო გზა გავუხსნათ სიყვარულს!

რომელმა ეშმაკმა გვიმუხთლა,
გაგვწირა რომელმა მაცილმა, —
ქართველი ქართველებს შეება,

ღვიძლმა ძმამ ღვიძლი ძმა გასწირა!..
სიძულვილს ფართო გზა გაეხსნა,
სიძულვილს სიძულვილი მოება,
ხანძარი მოედო რუსთაველს,
იწვის რუსთაველის პოემა!..
ეს რა გვემართება, ქართველნო,
ვის ვებრძვით ტყვიებით გაბმულით?!
ახლა კერპების დრო არ არის,
კერპია მხოლოდღა მამული!
ამ კერპს ვუპატრონოთ კაცურად,
ნუ ვიწევთ ერთმანეთის სამუსრად,
სიძულვილს მივუხუროთ კარები,
სიყვარულს ფართო გზა გავუხსნათ!
მხოლოდ სიყვარული დაგვიხსნის,
სხვა გზა უფსკრულისკენ ეშვება,
სისხლი სიყვარულით შეწყდება,
ცრემლი სიყვარულით შეგვშრება!
სიყვარულით აღვსდგებით ისევე,
სიყვარულით ლხინის დღეებს
დავითვლით!..
გვფარავდეს თამარ მეფის მანდილი,
წინ ღროშა გვიძღოდეს დავითის!

## საქართველო

მიწა — ნაბდისოდენა,
ზეცა — თავშლის გაშლა,
გარეთ — მტრების მუქარა,
შინ — შუღლი და აშლა!..
ჭკვიანს — ლაფის დასხმა,
გიჟს — ტაში და ვაშა!
ერთის — გალმერთკაცება
და მეორის — დამცრობა,
კაცუნობა ზოგისა,
ზოგის — არაკაცობა!
სულ უბრალო რამეზე —
ჩხუბი, აყალმაყალი,
ლაპარაკი — ბევრი,
უთავბოლო ყაყანი!
საქმე — ცოტა, ცოტა,
ანდა სულ არაფერი,
გამკილავთა სიმრავლე,
ჭორის მოდაფდაფენი!
სკამისათვის ბრძოლა,
მისთვის ღამის თევა,
დაგროვება ბოლმის,
გესლის გადმონთხევა!..
ყველგან ჩასაფრება,
დაგებული მახე!..
ამას რას მოვესწარ,
ვაი, ეს რა ვნახე?!

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი







— შარშან მე მთაში ვისვენებდი! შენ?!
— მე — ბიჭვინთაში!..

ნახ. დ. თოთიბაძისა

საქართველოს ეროვნული

## ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲢᲧᲕᲔ

### ᲞᲝᲚᲘᲢᲞᲐᲢᲘᲛᲠᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ

195. წ ე ლ ს მომისაჯეს ხანგრძლივი პატიმრობა გადასახლებით ერთ საკანში, ბრალდებად წამიყენეს პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, რასაც იმ დროისთვის მე გამართლებულად ვთვლიდი! ჰოდა, სხვა რომ ვერაფერი მომიხერხეს, კავკასიაში გადმომასახლეს, კერძოდ — თბილისში და თანაც იმისთანა ცენტრალურ ადგილზე, როგორიც ყოფილი ბერიას მოედანი იყო, და რადგანაც მე აქ მომიწია სასჯელის მოხდამ, ამიტომ, ხალხს რომ ორიენტაცია არ შეშლოდა, ჩემს საკანს უწოდეს ჩემივე სახელი — ლენინის მოედანი!



ჩემი ოცნება სულ ის იყო, თუ როდის იფეთქებდა ახალი რევოლუციის ნაპერწკალი, რომ მე შემძლებოდა აქედან თავის დაღწევა. ჰოდა, ჩემდა საბედნიეროდ, მოხდა კიდეც ეს ამბავი: 1985 წელს დაინიშნა ახალი ლიდერი, რომელმაც გამოაცხადა, — „რევოლუცია გრძელდება!“ — აბობოქრდა კიდეც ეს ტალღა და საჯაროობამ გადაწყვიტა, მე როგორმე აქედან გავეპარებიე, აგრამ ჩემს მხსნელებს წინ აღუდგნენ და ისეთი გაძლიერებული დაცვა დამიყენეს, ფეხის განძრევის საშუალებაც კი არ მომცეს! ეს ამბავი ხდება 1989 წლის სისხლიანი აპრილის ამბების შემდეგ!.. დავკარგე მოსვენება და ძილი, სულიერი სიმშვიდე და წონასწორობა!., ყოველი წუთი ჩემთვის ძვირფასი იყო!..

აქედან რომ როგორმე გავპარულიყავი, საჭირო იყო საპატიმრო სამოსელის შეცვლა. 1990 წლის აგვისტოსთვის მიწურულისათვის, როგორც იქნა, ჩემმა ქომაგებმა შესძლეს ჩემი სამოსელის გადალებვა, ისე რომ სრულიად შეუმჩნეველი ვყოფილიყავი ჩემს ირგვლივ მყოფი ზედამხედველებისათვის!.. და მოხდა ის, რასაც თითქმის ოთხი ათეული წელი ველოდი: 1990 წლის 27-28 აგვისტოს, წმინდა მარიამობის დილის გათენებამდე, ჩემმა მომხრეებმა დიდი ვაი-ვაგლახით და წამებით მოახერხეს ჩემი გათავისუფლება! ერთი კი დავიძახე, — გაუმარჯოს თავისუფლებას-მეთქი! — და ღამის წყვდიადში გავუჩინარდი, რისთვისაც ჩემს კავკასიელ ქომაგებს დიდ მადლობას ვუხდი!

ვ. ი. ლენინი

1990 წ.

## ᲐᲮᲘᲐ ᲩᲔᲛᲖᲔ!..

### ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

რა უ მ ა დ უ რ ე ბ ი ვართ ადამიანები! — სინათლე ჩაქრება და ვწუწუნებთ, გაზი შეწყდება და ალიაქოთს ვტეხთ, ტელეფონი დადუმდება და კავშირგაბმულობის მუშაკებს ვლანძლავთ (იმ ოჯახაშენებულებმა პატივი გვცეს, ტელეფონი დაგვიდგეს და თან გვინდა, რომ მუდამ იმუშაოს?!), წყალი შეწყდება და ამაზედაც ვბრაზდებით, ზამთრობით გათბობა არა გვაქვს და წყევლა-კრულვას ვუგზავნით საქვაბეებში მომუშავეებს, რომლებსაც სახეზე ოფლი ნაკადულივით ჩამოსდით (დომინოს თამაშის დროს!..).

მერე რაა, რომ ყველაფრის ქირას ვიხდით, თანაც ათმაგს?! ხომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ყველაფერი დროებითია და აუცილებლად მოწესრიგდება ათ, თხუთმეტ, ან, მაქსიმუმ, ოც წელიწადში?!

... აი, ამ ფიქრებით შევედი ლიფტში და... სინათლე გამოირთო!.. ახლა იმაზე ფიქრში უნდა ვიმტვრიო თავი, მელიფტეები როდის მორჩებიან ჭორაობას და ჩემს საშველად გამოიქცევიან, თან იმაზედაც ვიდარდო, რომ სამსახურში უფროსმა გუშინ მეახედ გამაფრთხილა, — არ დააგვიანო, თორემ მოგხსნიო!..

არაფერზედაც არ ვიდარდებ! ვიცი, დილამდე სინათლე არ იქნება და ერთს კარგა მაგრად გამოვიძინებ ლიფტში! მე რომ ჭკუა მქონოდა, რა ჯანდაბა მინდოდა ამ აყროლებულ ლიფტში?! ბოლოს და ბოლოს, მეცხრე სართულზე ვცხოვრობ, მთვარეზე ხომ არა?! ვერ ჩამოვეთრიე ფეხით?!

ახია ჩემზე!..




ილუსტრაციები ბ. ლომიძისა

# ყურმოჭრილი პარადოქსები

● **ნათელი** მომავალი ბნელი დღისათვის იყო გადანახული და ეს დღეც დადგა!..

● **ხელისუფლება** და ყელისხუფლება თითქმის ერთი და იგივეა!..

● **ხელისგულზე** ხაზები ზოგჯერ იმასაც მიანიშნებენ, რომ ხელი დასაბანია!..

● **საზოგადოებრივ** ტრანსპორტში ყველა რომ დავეტიოთ, ერთმანეთს მხარში უნდა ამოვუდგეთ და ერთ მუშტად უნდა შევიკრათ!..

● **როცა** არაფერი არ იშოვება, თავისუფლება მაინც უნდა იყოს თავზე საყრელად!..

● **ერთმანეთის** მხარში ამოდგომას ისე ვერ შევძლებთ, თუ პროდუქტების რიგში ერთმანეთის უკან დგომა არ ვისწავლეთ!..

● **ფასების** მომატებას თუ ფასების მოწესრიგება დავარქვით, წესრიგი არასოდეს არ გვექნება!..

● **ორგანიზებული** დამნაშავეობა მტკიცე პარტიულ დისციპლინას მოითხოვს!..

● **ნებისმიერი** წერტილიდან ნებისმიერი სწორი ხაზის გასწვრივ თუ იმოძრავებ, ბოლოს და ბოლოს, უთუოდ მოხვდები უცხოეთში!..

● **ყველაფრის** პრივატიზაცია შეიძლება — სხვათა შორის, ეროგენული ზონებისაც!

**თამაზ ებანოიძე**




— ჯიგარო, ოთხმოცდამეხუთე იქნები?!

ნახ. ვ. ლომიძისა

# ანეკდოტები

**მიხო** გზის პირას დგას და სიგარეტებს ყიდის. ერთი ახალგაზრდა ეკითხება:

— ძია, „კაბინეტი“ გაქვს?

— კაბინეტი რომ მქონდეს, სიგარეტებს გზაზე კი არ გავყიდდი! — გაბრაზდა მიხო.



**მიხომ** შაქრო სიდედრის ოჯახში წაიყვანა საქეიფოდ. სიდედრმა ზღაპრული სუფრა გაშალა, თან მიხოს თავზე ევლებოდა:

— მიხო, ისეთი რა დაიმსახურე სიდედრთან, რომ ასე გევლება თავს? — შეეკითხა გაკვირვებული შაქრო.

— ძაღლი მოვკალი!

— ძაღლი რა შუაშია?!

— ამათი სიძე რომ გავხდი, ეზოში ავი ძაღლი ებათ და შემოსვლისას დამიყეფა. ამოვიღე ყვითელი ბარათი და ვუჩვენე. მეორე დღეს ისევ დამიყეფა, პისტოლეტი ამოვიღე, ვესროლე და მოვკალი!..

ახლა ჩემი სიდედრისათვის წითელი ბარათი უკვე ნაჩვენები მაქვს და ამიტომ მეფერება! — უპასუხა მიხომ.

* * *

**გამგებლის** მისაღებში რიგია. მიხოს რიგი რომ მოვიდა, ერთი ახალგაზრდა თანამშრომელი მივიდა მიხოსთან და სთხოვა:

— ძია კაცო, მაპატიეთ, ერთი წუთით შევალ გამგებელთან და ახლავე გამოვალ!

— მეც ერთი წუთით უნდა შევიდე, განა დომინო უნდა ვეთამაშო?! — მიუგო გაბრაზებულმა მიხომ.

**ავტოინსპექტორი** მიხო ტრასაზე დგას და მანქანებს აჩერებს. გააჩერა მოტოციკლეტი, რომელსაც პატარა ბავშვი მართავდა.

— შვილო, — მიმართა ბავშვს, — მძღოლს რომ გავაჩერებ და მართვის მოწმობა არ ექნება, 200 მანეთს ვართმევ. შენ არც მართვის მოწმობა გაქვს, თანაც მცირეწლოვანი ხარ, ამიტომ 300 მანეთი უნდა გადამიხადო!

— ძია, 300 მანეთი რა ამბავია, ფიზიკაში მამზადებ?! — უპასუხა გაკვირვებულმა ბავშვმა.

* * *

**მიხოს** სახრე უჭირავს და რუსთაველის პროსპექტზე ინდაურებს მიერეკება. მილიციელმა გააჩერა დაეუბნება:

— მოქალაქევ, არ იცით, რომ აქ ინდაურების გავლა არ შეიძლება?!

— მტრედები თუ დადიან, ინდაურებმა რა დააშავეს?!

— ეგენი მშვიდობის მტრედები არიან და უფლება აქვთ!

— ჩემმა ინდაურებმა, რა, ომი გამოგიცხადეს?! — მიუგო მიხომ.

* * *

**მიხოს** ლიმონათის კოოპერატივი ჰქონდა გახსნილი.

— მიხო, შენი დამზადებული ლიმონათი ცარიელი გაზია, ცოტათი დაატკბე! — უთხრეს ძმაკაცებმა.

— აბა, რას მეუბნებით?! ლიმონათი დავატკბო და ცოლ-შვილი გავამწარო?! — იწყინა მიხომ.

* * *

**მიხოს** მანქანა დაეჯახა და ფეხი მოტეხა.

— რამდენი გინდა მოგცე, რომ არ მიჩივლო? — შეეკითხა მძღოლი.

— ერთი მილიონი! — უპასუხა მიხომ.

— შენ მე მილიონერი ხომ არ გგონივარ?! — იწყინა მძღოლმა.

— შენ მე რვაფეხა ხომ არ გგონივარ?! — გაბრაზდა მიხო.

* * *

— მიხო, ახალგაზრდა კაცი ხარ, ნაადრევად რომ გამელოტდი, თავზე დანაყილი ნიორი წაისვი და თმები ამოგივა! — ურჩია ექიმმა.

— ეჰ, ექიმო, ნიორს რომ თმები ამოჰყავდეს, რაც მე ნივრიანი ხაში და ხაშლამა მაქვს ნაჭამი, აქამდე ენაზეც ქოჩორი მექნებოდა! — მიუგო მიხომ.

* * *

**მიხომ** სიდედრი წაიყვანა კბილის ექიმთან და მეორე დღეს ექიმი მოინახულა.

— როგორა გყავს სიდედრი? — ჰკითხა ექიმმა.

— კარგად, ექიმო, თქვენი დიდი მადლობელი ვარ: გუშინ, კბილთან ერთად, ენაც ამოგიყოლებიათ!..

**შეკრიბა ვანო კევლიშვილმა**
**(სიღნაღის რაიონი, სოფელი საქობო)**



# მარიკა [illegible]

ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციის
რედაქტორ-ლიტმუშაკს




მეგობრული შარჟი მწერალ
თენგიზ გოგოლაძისა

ჩვენო ძვირფასო მარიკა,
ძალიან დიდი ქალი ხარ! —
ოცდათერთმეტი წელია,
„ნიანგზე“ გადამკვდარი ხარ!..
მისი იმედი, ნუგეში,
მისი მფარველი ფარი ხარ!
სტამბას და „გზაჯვარედინებს“
შეწირული ხარ ტარიგად!..
(ადრე მშრომელთა წერილებს
აძლევდი გეზსაც, განრიგსაც
და „ბიბლიოთეკისთვისაც“
მრავალგზის ნაომარი ხარ!)
ხარ გაჭირვების ტალკვესი,
შეგთხოვთ: „გვიშველე, არიქა!“
შენც გვშველი, მხარში გვიდგახარ,
იჩენ საოცარ მარიფათს!
ერთგულების და სიკეთის,
სიქველის ალამდარი ხარ!
გაქვს უნათლესი გონება,
ყოვლისმხედველი თვალი გაქვს!
კალამიც გიჭრის და „ნიანგს“
ემსახურები კალმითაც!
ხარ ფუტკარივით მშრომელი,
არ იხსენები ღარიბად!
რედაქციაშიც, სტამბაშიც
ავტორიტეტი მყარი გაქვს!
ალბათ შენ თვითონ არ იცი,
რა წრფელი, რა მართალი ხარ!
დასასრულ ასე დაგლოცავთ,
დიდსულოვანო მარიკა:
მრავალჟამიერ იცოცხლე
შენი ვაჟით და ქალითა!

ნიანგელების სახელით — ზაურ ბოლქვაძე

# თანამედროვე წყევლა-კრულვანი

წავიდა ის დრო, ბრეჟნევმა რომ გამოსცა წიგნები — „ყამირი", „აღორძინება", „მცირე მიწა" და გურული ქალები რომ იწყევლებოდნენ: „შენ არ გეღირსოს აღორძინება, ყამირი დაგაყაროს გულზე და მცირე მიწაში დაგმარხეო!" დღეს თანამედროვე ქალები უნდა იწყევლებოდნენ დაახლოებით ასე: „შენი კუბო მენახოს შავ ბაზარზე გაძვირებული!" „შიმშილობის აქციებში ამოგძრობოდეს სული შიმშილით!" „მიტინგზე მოგხვედროდეს ოსი ექსტრემისტის ტყვია!" „კომერციულ მაღაზიებში გამოტანილი საქონლის ფასებივით აგწეოდეს წნევა!" „ასი კანისტრა ბენზინი გადაგსხმოდეს თავზე და ცეცხლი წაგკიდებოდეს ბაზარივით!" „საბჭოთა წყობილებასავით დაგნგრეოდეს გვერდები და სიკვდილთან ხელშეკრულებაზე მოეგწეროს ხელი!" „შენ და შენს გარუჯულ საყვარლებს პოზიცია-ოპოზიციასავით დაგეჭამოთ ერთმანეთი!" „თურქეთში ათჯერ ნამყოფი ქალი შეგერთოს ცოლად!" „გაზივით და შუქივით გაგპარვოდეს სული, ჩვენს ბინაში რომაა, ისე!" „არ გეღირსოს გათბობა, ცხელი წყალი, სარეცხის საშუალება და ტელეფონის ზარი!" „შენზე გამოეცხადებინოთ ტელევიზიით, — სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულაო!" „შენს ოჯახში გამოლეულიყოს შაქარი, ყველი, ზეთი, კარტოფილი, ხახვი, საპონი, ასანთი, დუსტი და ხლოროფოსი!" „ყოველდღე ას მანეთად გევლოს რუსთავიდან თბილისში და თბილისიდან რუსთავამდე თერთმეტ ნომერ ავტობუსში მენახე გაჭყლეტილი!" „მომკვდარიყავი და არ გღირსებოდეს დამარხვა ლენინივით!" „ლეონიდ ილიჩივით დაგბლუებოდეს ეგ გასახმობი ენა და უშველებელი ტულიპი გაგიჩროდეს თავზე ზოგიერთებივით!" „კაზ[illegible]ბხაც ვერ ეშველოს შენთვის და ჯუნა დავითაშვილთან მოხვედრას ნატრობდე მთელი შენი სიცოცხლე!" „სამსახურში კაბინეტის კარი აეჭედოთ შენთვის!" „შენს კრეტინ შვილს როდიონოვის ჯარში ემსახუროს მთელი მისი ცხოვრება და იაზოვივით გაწითლებოდეს ის დებილი სახე!" „ამოგავებულიყავი თორმეტმანეთიანი ლუდივით და გამწარებულიყავი შენი ნიტრატებიანი სიდედრის ენასავით!" „ჩამოგძვრეს ეგ ათასმანეთიანი ზედა პროთეზი და ხუთიათასმანეთიანი ქვედა ხუთი კბილი!" „გაგჭრა და გასკდი ოთხიათასმანეთიანი [illegible]რავივით და გათხელდი ასმანეთიანი ზეთივით!" „დალპი საბჭოთა ხელისუფლებასავით და დაიწვი ქუთაისის ნავთობივით!" „მთიანი ყარაბახივით აოხრებული და აწიოკებული მენახოს შენი ცხოვრება!" „სასტუმროში შეგყროდეს შიდსი და ველარ მოსწრებოდე პრივატიზაციას!"

1 წყევლა-კრულვანი უნდა შესრულდეს ლენინის, სტალინის, ხრუშჩოვის, ანდროპოვის, ჩერნენკოს, სადამ ჰუსეინის, კადაფის და სხვა დიქტატორთა გადიდებულ პორტრეტებთან!.. იქვე უნდა ფრიალებდეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ნამგალ-უროიანი დროშა და გამოკრული იყოს ტრანსპარანტები: „უკან — კომუნიზმის დამარცხებისკენ!" და „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, დაიშალეთ!"

მანო ცინცაძე




ნახ. ჯ. ლოლუასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მამუკა ცეცხლაძე

## პირველი გაკვეთილი

„ლაშქრობაში" პატარა გიორგიმ ბალიში წამოიღო თან და „ძალიან ლამაზი" ქეთი მიწაზე რომ ჯდებოდა, ის ბალიში დაუდო ქვეშ.

დამსვენებლებმა ღიმილით გადახედეს ერთმანეთს.

„ძალიან ლამაზი" ქეთი გაწითლდა და... წამოარტყა თავში პატარა გიორგის.

— მდაა! — თქვეს დამსვენებლებმა თითქმის რუსულად.

„ძალიან ლამაზი" ქეთი კიდევ უფრო უარესად გაწითლდა, ისე გაწითლდა, რომ აღარ იყო უკვე ძალიან ლამაზი.

პატარა გიორგის კი მთელი ცხოვრება ჰქონდა წინ, რათა მიმხვდარიყო თავის დანაშაულს.

## ტრაბახის გამო

მე მიყვარს ტრაბახი —
რომ იტრაბახო,
უნდა გქონდეს!
თუ გაქვს,
რატომ არ უნდა იტრაბახო?!
რატომ არ უნდა შემოუძახო
შენს თავს,
თუ არა გაქვს?!
რატომ უნდა დაგლახდე და
აწუწუნო?! —
მაქვს-თქო, — თქვი!
არ თქვა, — არა მაქვსო!
არა მაქვსო, მაშინ უნდა თქვა,
როცა გაქვს! —
ესეც ტრაბახია ერთგვარი
და თანაც ვერავინ
ვერაფერს ვერ მოგთხოვს!
მაქვსო-თქო, — თქვი! —
ასე უფრო მეტი ხალისით
გაგიმართავენ ხელს
ნათესავები და მეგობრები!..
ესეც თუ არ შეგიძლია და,
ვერ არის კარგად
შენი საქმე! —
მაშინ იხევ იმ კაცთან მიდი,
ვინც ადრე დაგეხმარებია! —
სიკეთეს სხვას თუ ჩაუყრის
კაცი წყალში, თორემ
თავისას
ვერ გაიმეტებს აგრე იოლად!
მე მიყვარს ტრაბახი,
იმ კაცსაც უყვარს!..
თუმცა ტრაბახი იქით იყოს და,
რას ვერჩი ახლა მე
იმ კაცს?

## ამპარტავნობის გამო

ამპარტავანი — თან უკუდო!
— ზმაა რავარი?!
მერედა, ჩვენში რამდენია
და რა მრავალი! —
როგორც არ უნდა ჩაეხუტოს
მავანს მავანი,
ერთი მეორის ვერ გახდება
ავანჩავანი!
წალმართის, მაგრამ უკუღმართის
კვალში მავალის,
უკუდობაში ჩანს ავ-კარგი
ამპარტავანის!

## შორისდებული

ეთიკური — პათეტიკურს,
ეს ზემორე — იმ ქვემორეს —
როდის იყო, რომ ერთი ყურს
უგდებდა ჩვენში მეორეს?!

ბოლმით შუბლის ძარღვგაწყვეტილო
უფრთხიან მორიდებულნი —
განსაცდელის ანახმლეტი,
სიტყვაა შორისდებულიც!

ქურდბაცაცული კულტურა
გახდა მასობრივისებრი —
ციხეს უმტვრევს საკეტურებს
ქურდის ქურდი, ანუ მსხვერპლი!

რამდენს უნდა, ზნე იფაროს
და მერე უჩუმრად გრეკოს?!
რამდენი ხმა გადაფარა
ერთი წიწამურის ექომ?!

ქურდის ქურდი უნდა ცხონდეს
და ცხონდება უეჭველად,
მაგრამ ყველას უნდა ჰქონდეს
ის, რაც უნდა ჰქონდეს ყველას!

## „ისტების" გამო

კმაყოფილი სახით დადის
ლანძღვის ყველა ოსტატი,
თუ სიმართლე მისი გადის
ფორპოსტიდან პოსტამდე!..

გიმნაზისტი გიმნაზისტს ჰგავს,
ერთი „ისტი" — მეორეს,
„გიმნაზისტკა" — „გიმნაზისტკას",
ზემორე კი — ქვემორეს,

ვერც ამ „ისტებს" ვერ გავყვები,
ვერც იმ და იმ და იმ „ისტებს"! —
მიყვარდა და მეყვარება,
ვინც სიყვარულს აგვირისტებს!

მტრის ჯინაზე დღე-ცისმარე
ჩემმა მტერმა ისულდგმულა! —
შენ ხარ მზე და მე ვარ მთვარე,
ქვე ის იკვრის, რაც ზე კრულა!

## ხუმრობის გამო

ხუმრობა, — ხუმრობა თუა, —
მართალი არის ნახევრად,
რადგანაც სახიფათოა
სრული სიმართლის გამხელა!

ხუმრობა ვისაც არ უყვარს,
ვერ იტანს ვინც ამ ნახევარს,
არ ვიცი, იმას რა ვუყო,
რად ვუნდივარ და რად ვყევარ?!

მოიმკას, რასაც დათესავს
ყველამ, და იყოს ყოველი! —
ცხოვრება მინდა ასეთი,
მეტის არა ვარ მჭამელი!

# ყველაფერი ნულის შესახებ

### იუმორესკა

● **ნული** (ლ ა თ ი ნ უ რ ა დ nullus — არავითარი) მათემატიკაში ციფრია და არაფერს აღნიშნავს, მაგრამ (ან იქნებ ამიტომ) მისი აღმოჩენა კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად ითვლება.

● **ნულიდან** ი წ ყ ე ბ ა ყველაფრის ათვლა. შუა პრაღაში ნულის ძეგლი დგას!

● **დიდი** დ ა პატარა ნული ორივე ნულია, **„რაგინდ მაღლა თახჩაზე იდოს!"**

● **ნული** ყ ვ ე ლ გ ა ნ და ყოველთვის ნულია, მაგრამ მისი მნიშვნელობა მაინც ფარდობითია და დამოკიდებულია რიცხვებში დაკავებულ ადგილზე: თუ იგი სხვა ციფრებს წინ უძღვის, რიცხვი ერთზე ნაკლებია; თუ უკან მისდევს — რიცხვი მით უფრო დიდია, რაც უფრო მეტი ნული მისდევს ამა თუ იმ ციფრს.

● **ნული** ზ ო გ ა დ ა დ ორნაირია: ჩვეულებრივი (ფარდობითი) და აბსოლუტური. ფარდობითი ნული ყველა უარყოფით რიცხვზე დიდია და ყველა დადებით რიცხვზე მცირე. იგი უსასრულო მცირე სიდიდეთა ზღვარია. აბსოლუტურ ნულზე ნაკლები სიდიდე კი არ არსებობს.

● **მოქრაობისას** შ ე ი ძ ლ ე ბ ა ნულამდე დასვლა, ნულზე დაყვანა, ნულზე ახარისხება, ნულზე გამრავლება.

**ყველა** რ ი ც ხ ვ ი (სიდიდე), ახარისხებული ნულზე, ერთის ტოლია. ნული ახარისხებული ნულზე ისევ ნულია. ნულის მიმატებით ან გამოკლებით რიცხვი არ იცვლება. ნულზე გამრავლებული ნებისმიერი რიცხვი ნულია. ნულზე რიცხვები არ იყოფა (აზრი არა აქვს). ნული გაყოფილი ნებისმიერ რიცხვზე ისევ ნულია.

● **თანაბარი** ს ი დ ი დ ი ს ან რაოდენობის (აბსოლუტური მნიშვნელობით) დადებითი და უარყოფითი რიცხვების ჯამი ნულის ტოლია.

● **ნულ** გ რ ა დ უ ს ზ ე იყინება წყალი. ნულზე დაყვანისას იყინება ცხოვრება, საქმიანობა, გონება, აზროვნება, განცდა, განათლება, მოძრაობა!..

● **აბსოლუტურ** ნ უ ლ გრადუსზე მატერიის ყოველგვარი მოძრაობა წყდება.

**აი, ყველაფერი (ან თითქმის ყველაფერი), რაც შეიძლება ითქვას ნულის შესახებ. მხოლოდ იმას თუ დავუმატებთ, რომ ათობითი თვლის სისტემაში მოცემული თანრიგის ერთეულთა არარსებობის აღსანიშნავად, ნულის სისტემური ხმარება შემოიღეს ძველი ინდოეთის მათემატიკოსებმა და რომ ყველა ქვეყანაში იგი ერთნაირად აღინიშნება და იწერება ასე — 0.**

# მტერ-მოყვარეთა შესახებ

**ამ** ბ ო ლ ო დროს მეტად გაჭირდა მტერ-მო[illegible] ამიტომ ურიგო არ იქნება, ჩვენს დიდ სულიერ მო[illegible]ველს მივმართოთ რჩევისათვის.

**„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია."** — ბრძანებს სულმნათი მგოსანი.

**„ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად".**

და კიდევ:

**„ოდეს კაცსა დაეჭირვოს, მაშინ უნდა ძმა და თვისი".**

აი, რისთვის არის საჭირო მოყვარე!

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ, როგორც ბრძენი პოეტი გვაფრთხილებს:

**„კაცი არ ყველა ხწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის".**

მ ა გ ა ლ ი თ ა დ,

**„ყოვლი ცრუ და მოღალატე ღმერთსა მგმობს და აგრე ცრუობს".**

დ ა

**„მოყვარე მტერი ყოვლისა, მტრისაგან უფრო მტერია".**

ა მ ი ტ ო მ

**„ხჯობს ფუოლობა კაცისა, მომდურავისა ყოლასა".**

განსაკუთრებით კი საყურადღებოა, რომ

**„მტერი მტერსა ვერასავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს"**, — ისე „ტოჩკაში" ურტყამს ეს დალოცვილი, გეგონება, ჩვენს დროში ცხოვრობსო.

ახლა ყველა ჭკუას გვარიგებს, ეგ ყველაფერი ხომ ცნობილია, რუსთაველი ჩვენც წაგვიკითხავსო, იტყვიან ვიეთნი (თუმცა კი მეეჭვება, რომ წაეკითხოთ), მაგრამ

**„არას გარგებს ხწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა!"**

არ გვაწყენს, ერთხელ კიდევ გავიმეოროთ უკვდავი მასწავლებლის შეგონებები,

რ ა დ გ ა ნ

**„ასი გმართებს გაგონება, არ გეყოფის, არ, ერთხელი!".**

**აპოლონ ბასილაია**




ნახ. ბ. ზუბაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატები გიორგი დუნდუასი

თემები მ. მერკვილიშვილისა



— სად მიგყავს, ილარიონ, ეგ ძაღლი?!
— უნდა მოვკლა, სტუმარს უკბინა ფეხზე!..
— სწორად მოქცეულა! ამ გაჭირვე-ბაში სტუმარი არ გამიგია მე!



— წარმოგიდგენია?! ერთ კილო კარაქში 300 მანეთი მივეცი!..
— შენ მიგიცია, შე კაცო და, მე ვეღარც წარმოვიდგენ?!




— ამ გოჭის ბაზრამდე მიყვანაში რას გამომართმევ?!
— მაგ გოჭს!..

# ღია წერილი კაპიტალისტებს

**ამხანაგო** კაპიტალისტებო!.. არა, ამხანაგო კი არა, მეგობარო კაპიტალისტებო! ერთიანად მანიით ვარ შეპყრობილ-გაქელნთილი, მანიით იმისა, რომ პური რა არის, მალე ორცხობილაც კი აღარ გვექნება!.. თავზარდაცემული შევყურებ, თუ როგორ თვალხელშუა გვიქრება საკვებ-პროდუქტების ის სახეობებიც კი, რომელთა „სატალონო ელიტაში“ შეტანას ამ ცოტა ხნის წინათ ყველაზე პესიმისტიც ვერ ივარაუდებდა!..

დიახ, მეგობარო კაპიტალისტებო, მე თქვენთან მხოლოდ საკვებ-პროდუქტების თაობაზე მექნება საუბარი, თორემ... ასანთის გაქრობას, ასე თუ ისე, კიდევ შეურიგდებოდა კაცი, რადგან გასაგებია, რომ ჭიაკოკონების სამინისტრომ ხანძრების გეგმა საგრძნობლად შეამცირა და ასანთის დეფიციტიც სწორედ ამან გამოიწვია! რაც შეეხება სარეცხის ფხვნილებისა და საპნის მწვავე დეფიციტს, აქ სიტუაცია, ვგონებ, თქვენთვისაც ნათელია!.. დიახ, მიმიხვდით: ჩვენ ხომ უკვე ისეთ ზნეობრივ სიქათქათეს მივაღწიეთ, რომ ხორციელი სისუფთავე სულაც აღარ გვესაჭიროება!.. აი, თამბაქოს დეფიციტის მიზეზი კი სულ სხვა რამეა: ფასებისა და უმუშევართა რიგების ლიბერალიზაციის გამო თამბაქოს წევა ჩვენი ძირითადი (და ერთადერთი) საქმიანობა ხდება! ჰაერში ისეთი კვამლი დგას, რომ პილოტები დასაფრენ ზოლებს ვეღარ ხედავენ და, იძულებული არიან, თვითმფრინავები ან თურქეთ-შვეციაში ან ამერიკაში დასხან, მაგრამ, ჩვენო კარგო კაპიტალისტებო, მე მხოლოდ საკვებ-პროდუქტების მხრივ გთხოვთ დახმარებას, ოღონდ სასტიკად და მკაცრად გაფრთხილებთ: არ გაბედოთ მარილიანი საკვების გამოგზავნა! — მარილი ხომ სწორედ იმიტომ გაქრა საყოველთაო საჯაროობისა და დემოკრატიზაციის პირობებში, რომ ჩვენ არ გადაგვემლაშებინა!..

ასე რომ, ჩვენო კარგო კაპიტალისტუნებო, უმორჩილესად გთხოვთ, როდესაც ჩვენთან შიმშილობა თვისობრივად ახალ ეტაპზე ავა, ის კონსერვები მაინც გულუხვად გამოიმეტოთ, თქვენთან მოხვედრილი ჩვენი ტურისტები, ფულის ეკონომიის თვალსაზრისით, ადამიანის ოთხფეხა მეგობართათვის განკუთვნილით, სიამოვნებით რომ შეექცევიან!.. ჩვენ რა, გგონიათ, მათზე ნაკლებად ვართ ადამიანის მეგობრები, ან ოთხზე სიარული არ ვიცით, ან ყეფა არ შეგვიძლია, თუ რა?!

ეეჰ, ჩემო კარგო კაპიტალისტებო, კიდევ დიახაც რომ ბევრი რამის მოწერა მსურდა თქვენთვის, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ჩვენს ქვეყანაში, სხვა ყველაფერთან ერთად, ქაღალდის მწვავე დეფიციტიცაა, რადგან მისი უდიდესი ნაწილი ტალონების წარმოებაზე იხარჯება და, ტალონების წარმოებაში კი მე, როგორც ქვეყნის პატრიოტი მოქალაქე, სახელმწიფოს ხელს ვერ შევუშლი!

**ზურაბ ინასარიძე**

# ტარიელ ჭანტურია-60

## გფარავდეს შენი რუსთველი!..

ტარიელ, შოთამ შეგაქო,
მანვე გიწოდა გმირია!
მე რომ მომწონდე, მიყვარდე,
ეს რაღა გასაკვირია?!
ხამმოში გამორჩეულო,
მე მახსოვს, ძმაო ტარიელ,
ფეხზე არავინ დატოვე,
ვისაც კი ხელი დარიე!..
შენზე ვერავინ ვერ იტყვის:
„შედრკა, მეტოქეს დანებდა!“
ყველა მოიგე დუელი
დემაგოგ-ინტრიგანებთან!
მას ეშინოდეს, ვინც უშნოდ
გამოძლა და გაიტიკა,
ვინც ცდილობს, — ხამბა უბრალო
შემოგვასაღოს თივთიკად, —
გვჯერა, მათ გააგებინებ,
რავალი უნდა კრიტიკა!
გულზე არასდროს გეხატა,
რაც უნიჭო და მდარეა,
„კრიტიკის“ რედაქტორობაც
ამიტომ გერგო, ტარია!
იცი, ვინ რისი ღირსია,
ვინ ვისთან შესადარია!
პირადად გამოზრდილი გყავს
ლიტერატორი ოცამდე!..
იმედის მომცემს, ნიჭიერს —
სუყველას — გზას ულოცავდი!
მტერს მტრულად ხვდები! შენ იცი
მადლი და ფასი ძმობისა,
მოყვარეს ისე დაქარგავ, —
შეშურდეს თითონ ოპიზარს!
რამდენჯერ გითქვამს: „გამშორდი,
ფიქრო, ეკუიდან შემშლელო!..
სიცოცხლეს დავთმობ, ოღონდაც
სამშობლოს რამე ეშველოს!“
წუხდი, შფოთავდი — უაზროდ
ვიწრიტებითო სისხლიდან!..
პირველად შენ თქვი, დაცემულ
მამულს ვინ გამოიხსნიდა!
სულ ფუტკარივით ფუსფუსებ, —
ამდენი მიტომ შეხძელი!
დღეს გლოცავს შენი
　　　　　　სამშობლო —
იყავ მზეგრძელი, დღეგრძელი!..
„ცისკრელს“ და
　　　　　　„სამოციანელს“, —
მომდგარმა წელმა სამოცმა, —
ვერა დაგაკლო, დღეს გვიწევს
სამენო თასის გამოცლა!
ვიცი, არაფრად არ გიღირს
„პულიტცერი“ და „ნობელი“!..
გფარავდეს შენი რუსთველი,
შენთვის
ცრემლშეუშრობელი!
ხომ გახსოვს, ჩანგს რა ჩასძახე,
რა რკინის ფიცი დადევი?!
გილოცავ, ძმურად მიიღე
ეს ლექსი ნაუცხათევი!

**ემზარ კვიტაიშვილი**

## კალმით და ნიჭით!..

თუნდ გამიჩნდეს მტერი ბევრი,
თუნდ გამლანძლონ
　　　　　　ხვავრიელად, —
ვინც არ არის ტარიელი,
მას ვერ ვიტყვი ტარიელად!
ახლა დახლი ცარიელობს,
ველარ დარობს დარიაო,
ის კი ისევ ტარიელობს —
ჩვენი ძმაი ტარიაო!

ჩვენო ძმაო ტარიაო,
სუფსაა თუ მტკვარიაო,
შენთვის ორივ ლვიძლია და,
ნუმც გენახოს მკვდარიაო!
სიტყვა არსად დააჟანგე,
„ინიანგე“, „იმამულე“,
წინ იდექ და არც ამჟამად
ხარ ბუჩქებში მიმალული!
მრავალთ გულით ნატარები
სიმპათია გაამყარე,
აგერ, ახლაც, პატარები
„ნეკოდენით“ გაახარე!
პოეზიის შერმადინი —
ხარ ღამეთა მთეველიო:
კიდევ ბევრი სერპანტინი
დაგრჩა გასაწყვეტელიო!..

**მინაწერი:**
კალმით და ნიჭით
დიდ გზას ივლიდე —
დინოზავრიდან
დიზაინამდე!..

**თამაზ ეხანოიძე**




მეგობრული შარჟი მწერალ თინათინ მღვდლიშვილისა

## სულით და გულით გილოცავ!..

ღვთიური ნიჭის
ნაღვერდალი აქვს
გაღვივებული
ჩემს ძმას, ტარიას,
და ამ ნაღვერდალს
ვინაც ვერ ამჩნევს,
იგი, უბრალოდ,
შესაბრალია!..

●

მისი სიცოცხლე ლექსია,
ლექსი — ყვავილი ველური!
ყოფა-ცხოვრების წესი აქვს
ტოტალურ-ტარიელური!

●

მის ლექსებში ოქროს
　　　　　　პოვებთ, —
იმ ოქროთი მღერის იგი, —
და ტარიელს, როგორც
　　　　　　პოეტს,
მაღალი აქვს რეიტინგი!

●

ამკობენ გამბედაობა,
ღრმა ცოდნა, დიდი კულტურა!..
არ აცდუნებდა არასდროს
ტარიელს კონიუნქტურა!

●

შენ ნახევარი ცხოვრება
უკომპრომისოდ გალიე!
ავტორიტარულ ავტორად
არ გიცხოვრია, ტარიელ!

●

ნიცშემ თქვა: „ადამიანი
ბინძური ნიაღვარია,
რომ შეიერთო იგი და
არ გაისვარო თავია,
ზღვად უნდა იქცე!“ — ასეთი
ზღვა ხარ შენ, ძმაო ტარია!

●

სულ იცოცხლე! დე,
　　　　　　სიკვდილის
ყველა კარი დაგრაზოდეს,
ტარიელი იყავ მუდამ,
მკვდარიელი — არასოდეს!

●

უკრობი ცეცხლის
მომდებარია
შენი სატირა
ვოლტერ-ტარიელ!

მარადიული
იუმორი გაქვს,
იუმორისტთა
დიდთა სწორი ხარ!

●

ერს რომ მომავალს
　　　　　　აუნთებს,
ყოველთვის ხდევდი
იმ ვარსკვლავს!..
რედაქტორობდი
　　　　　　„მამულსა“ —
გაზეთსა
　　　　　　სიტყვაგზიანსა!

ახლა ალმანახ „კრიტიკის“
რედაქტორი ხარ მთავარი
და მწამს, „კრიტიკა“ იქნება
„მამულზე“ უფრო თამამი!
ავტორებს თვითონ მოძებნი, —
გაქვს დიოგენის ფანარი!

ტარიელ,
კაცო ღვთიანო,
კარამდე კუბო-სამარის
თავით შენ მარილს კი არა,
მე დაგინაყავ ქვამარილს!..

... მზე მოგეახლა, უკუნი
შენთვის აღარა ხნელია!..
სულით და გულით გილოცავ
შოთა რუსთველის პრემიას!

P. S.
თუ არჩევნები დროულად
გვაღირსეს, —
რომ გვაღირსებენ,
　　　　　　მჯერა, —
მაჟორიტარიელურად
აგირჩევთ
პარლამენტარიელად!

**ზაურ ბოლქვაძე**

## აგია სიცოცხლე?!

სოფლის შარაგზაზე ხელი ნაბიჯით მოუყვებოდა იგი: მხარზე ჯოხით ბადიანი ფუთა გადაეკიდა და ერთიდან მეორე მხარეს გადაჰქონდა, შემდეგ თავისუფალი ხელი პირთან ახლოს მიჰქონდა, თითებს დაიორთქლებდა ხოლმე და იმავე წუთს პალტოს ჯიბეში იმბუნებდა. უცებ იგი შეჩერდა, თავი ჩაღუნა, ამოიოხრა და ნაგვიანევ თოვლს ფეხით ტკეპნა დაუწყო!..

— მიუახლოვდი შინას, მარა... ერთბაშად არ შევიდე ხულდამშვენებული!.. აგია ცხოვრება?!. აგია ხიცოცხლე?!. ხაპონი ვერ გიშოვია კაცს და ნავთი!.. მიშეხვლება კი შინ?!. მომბეზრდა ყოველდღე ერთი და იგივეს ძახილი, — არაა და რაი შევიტანოთ-მეთქი?! მარა, ამელამ აქანე ხომ ვერ გავითევ?!. გეეიყინე კაცი! — ფიქრობდა იგი და, ის იყო, ნაბიჯი გაბედულად გადადგა, რომ... კარის მეზობელი დაინახა; — ნეტა, არ გადამყროდა ახლა იგი და!.. — გაიფიქრა მან და ნაბიჯს აუჩქარა.

— აუ, ამას ვის ვხედავ?! რავა ხარ, შე კაცო, რავა მოგვანატრე თავი, ხად დეიკარგე, გუშხამ არ გვიკადრე, ხომ?!. ბაღანე მეხტუმრა ბათომიდან, ვიფიქრე, ხუფრას დამიმშვენებს, მოძახილს მეტყვის-მეთქი, და... თლათ არ დეიკარგე?! გამაწბილე ხომ კი?! აგია ბიჭო, მეზობლობა?! — ხეტყვახავით დააყარა დაბნეულ, ბურუსში გახვეულ კაცს მაღალმა, ტყავის ქურქში გამოწკეპილმა, ჩაფსკვნილი ალნაგობის ლოყებღაჟღაჟა კაცმა.

— არ შემეძლო, მიხაილოვიჩ! — ძალაუნებურად მოუბოდიშა ფიქრებიდან გამოხულმა კაცმა და, ის იყო წასვლა დააპირა, რომ მაღალი მიუახლოვდა დაბალს, ტყავის ხელთათმანი წაიძრო, ჩონჩხადქცეულ მეზობელს ფაფუკი ხელი მხარში ჩაავლო, ერთი მაგრა შეანჯღრია და ბოხი ხმით უთხრა:

— რა გჭირს, იხიდორე?! რავა ჩამოგიშვია ცხვირი?! გაჭირდა ცხოვრება, ხომ?!. ინგრევა ქვეყანა?!. ეხაა და ეხაო, რომ ჩიოდი?!. ხუთი ვაჟის მამას, რავა დაგიყრია ფარ-ხმალი?! — შეარბილა ნათქვამი, — მე ვიკითხო, ჩემო ძამია, ერთი შვილი და ერთი შვილიშვილი რომ დეიარება ჩემ გვარზე, თვარა შენ რა გიჭირს, რომ გეიზრდებიან შენი ზღიპარტები, იმ შენ ოდას, ჩემო იხიდორე, ეგერ, მგონია, გაღმა გეიტანენ!..

— ეჰ, გაჩენას დარჩენა უნდა, მიხაილოვიჩ! ახალს თუ აშენებენ, აგია ხაქმე, თვარა, აშენებულს რომ დაანგრევენ, იგი მეც ქე ვიცი, შე კაცო!.. — უპასუხა მან.

— შენ რავა გაგტეხია გული?! თუმცა, ქეგვაქვს მაგი ხათქმელი!.. რას შობა შენი გადარეული შვილი, ქალაქს რომ ბრძანდება?! კიდევ დაყიალობს ზევით-ქვევით?! ვერ შოვიდა ჭკვაზე?! წიგნს მოკიდოს ხელი, წიგნს!.. იმ ყიალს და მჯილის ცემას იგი ჯობია!.. კაპიკს კაპიკზე რომ უმატებ და უკუჭავ ჯიბეში, დეინახოს და დააფასოს მაინც!..

ეკლად დაესო იხიდორეს შვილის აუგად ხსენება. ხიმწრის ოფლი გადაასხა, მაგრამ თავი შეიკავა და ეხლა მოახსენა:

— რა ვქნა, ბატონო! ცხოვრებაში თქვენსავით ჭკვიანები ვერ გამოვდექით, ბატონო! ალბათ ჯიში გვაქვს ამფერი, თვარა, რაღა ჩვენ გვჭირს უხაშველო, არ ვიცი?!. ბაბუაჩემი იყო და, ნიკოლოზს ებრძოდა და გააციმბირეს, მამაჩემი პლენად ჩავარდა და ხიცოცხლის ფასად დაუხვეს!.. ხიმართლეზე მე პარტიიდან გამრიცხეს და ჩემი შვილიც ამ ჩვენ კვალს მიყვა მაინცდამაინც!., ჩემგან არ გეწყინებათ, მიხაილოვიჩ, მარა გამიგონია, ბაბუაშენის მამა ნიკოლოზის სამხახურში თავს რომ კარგად გრძნობდა. ბაბუაშენი შენშევიკობდა. მამაშენი ბალშევიკობდა, შენ აგერ, აქნობამდე, ქე უდექი კოლექტივს ხათავეში! შენი შვილი გამგებელი იყო, შვილიშვილი ამ მთავრობახთან არის შეკრული და აგაშენათ ღმერთმა, მეტი რაღა გინდათ?!. რაცხა ოპოზიციაა, მაინცდამაინც ჩვენ ოჯახში დეიბუდა და თავიდანვე დაგვრია ხელი: უფროსი ვაჟი აღარ გეეკარება და იგი ოთხი გადარეული ყაზირალი რას იზამს, რომ გეიზრდებიენ, არ ვიცო, ღმერთმანი!..

— ნუ გეშინია, იხიდორე ცენტერაძე... ვიცი ქვევით იქნებოდი დაბაში, პურს ვერ იშოვიდი, ჩამოი ჩემხას, შენი ბაღნებიზა ქალს ღორის ბარკალი აქვს გადანახული. ფქილს მოგცემ პურისას, ჭაჭუტასაც გეიმეტებს ქალი ალბათ.., გადმოი, არ მალოდინო, იცოდე... მე აგერ ფოსტაში ჩევირბენ. მალე ამუალ... აბა ჰე, გელოდები იცოდე...

იმედიანად გაემართა შინისაკენ იხიდორე ცენტერაძე. ოთახში შევიდა, ზურგიდან ჩამოიხსნა ტვირთი და იქვე კუთხეში მიაგდო.

— ბაბაიე მევიდა, ბაღნებო, ბაბაიე! — დაიძახა ერთმა და ყველანი მას შემოეხვივნენ.

— ოჰ, დიდება შენ მობრძანებას!.. არ დევიზაფრეთ?! შე კაცო, მოგვკალი ლოდინით!.. რაია მაგი კუთხეში?! — მეორე ოთახიდან შეეხმიანა მეუღლე.

— უი, გაზეთებია!..

—დიდუუ, რამდენია! — დაიძახა ერთმა ბავშვმა და კუთხეში მიდგმულ ფუთას თითებით დაუწყო ფურჩქნა.

— უყურე ერთი! — თავი გამოჰყო მეუღლემ, — აბა, კარგს შეიტანდა მაგი რამეს?! რა შაე ქვად გინდა გაზეთები?!. იხიდორე ცენტერაძე, შენ არ დაგილამდეს ამეღამდელი ღამე, ამიზა რავა გეიმეტე ფული, შენ არ დახაცალებელო?!. ჭკუა აქვს ახლა ამას?! პურიზა წაი და აგი მოათრიე?! ქვესკნელში და უკუნეთში შენი თავი! — ილანძღებოდა იხიდორეს მეორე ნახევარი და ხელებს ჰაერში ახავხავებდა!

— კითხე ახლა ამას ჭკუა!.. ყვირილით არ ეიკლო ქვეყანა?! რომ ყვირი, რას ყვირი, ქალალდი არ იშოვება, არ იცი?! ამ ჩაწოლილ გაზეთებს, მაკულატურად რომ ქცეულა და ტევა აღარაა, კიოსკს მალე გაცლიან, აბა, აქანე გააჩერებენ თუ?! რომ დაგჭირდება, ეძებე მერე!.. რაი გესმის შენ?! —გაგულისებულმა იხიდორემ ჩაიქნია ხელი და გაბრაზებული გამოვიდა გარეთ.

— ვიცნობ მიხაილოვიჩს!.. ვიცი, რა ციებაც აქვს ტანში შეჩენილი! გაზაფხული მოგვადგა კარს და, ჩემი ხარები და ჩემი თავი ხჭირია. თვარა, ყველსა და ხორცს გეიმეტებდა ახლა მაგი?! — გაუელვა თავში იხიდორეს და ჭიშკრისაკენ გაუყვა გზას.

უცებ წამით გამხიარულდა. რა უხაროდა, თვითონაც არ იცოდა, — მიხაილოვიჩის დანაპირები თუ. ის, შეპარვით პირში რომ მიახალა, — ეშმაკობითა და მამაძაღლობით თავი გეიტანეთ და ახლა მეჭიმებიო?! ეჰ, ვერ ვაკადრე კიდევ, თვარა უკადრებელი ქე ხჭირთ მაგათ! ახლაც უნდათ, თელი ხოფელი თავის ჭკუაზე აცეკვონ, თუ რავაა მაგათი ხაქმე, არ ვიცი! თუმცა, რომ მეინდომონ, არ გვაცეკვებენ თუ?!. ფული არ აქვთ თუ შეძლება?! იყიდიენ მიწებს და უფარე მერე კეკალი და იფავი!..

ფიქრიანი კაცი იყო იხიდორე და ახლაც ძალზე შორს წავიდნენ მისი მოჭარბებული ფიქრები!.. და, უცებ, ახალგაზრდობის წლები გაახხენდა, — თავმომწონე მიხაილოვიჩი კოლმეურნეობის თავმჯდომარე რომ ბრძანდებოდა.

— ვერ წამოჭიმა ხახლი, თუ რაი?! ციხესიმაგრეა ხწორედ მიხი ეზო, ჩიტი ვერ ჩაუფრინდება შიგ!..

იხიდორემ თვალი შეავლო თავის დაუმთავრებელ, გახაცოდავებულ ოდას, მერე თოვლი აიღო, დაავგუნდავა ოდის გვერდზე ცალ ფეხზე შემდგარ-შეჯგუფებულ ქათმებს დაუმიზნა, ესროლა და ააკაკანა!..

— რა დეემართათ ამ ქათმებს?! — თავი გამოყო ოდიდან იხიდორეს მეუღლემ და, რომ ვერაფერი შენიშნა, ძაღლი იქნებოდაო,— თქვა და ხელი ჩაიქნია. იხიდორემ ახლა მე-



ორე გუნდა მოიმარჯვა და ისეთი ძალით გაიქნია, რომ თხრილში ფეხი დაუსხლტა და გულაღმა გაიშხლართა!..

დიდი წვალებით წამოდგა, რეზინის ჩექმებში საგულდაგულოდ ჩაკეცილი შარვალი ჩამოიბერტყა და მეზობლის ორღობისაკენ ჩაუხვია.

ცოტა ხანიც და, ხელდამშვენებული ისიდორე ცენტერაძე მიხაილოვიჩის ეზოდან თავისი ბუნაგისაკენ მიძუნძულებდა!..

## იმედი

ერთი მოზრდილი შენობიდან მამაკაცების ხორხოცი და სიცილი გაისმოდა. უფროსები ხის გრძელ სკამზე ჩამომსხდარიყვნენ და ახალგაზრდების მოსწრებულ ოხუნჯობას უსმენდნენ. მოშორებით, თეთრ ხალათსა და თეთრ ქუდში გამოწყობილი ხაბაზი ჩუმად იდგა და ხან ხახადაღებულ, ჩაშავებულ თონეს, ხანაც შეჯგუფებულ ხალხს დანანებით გადახედავდა ხოლმე!.. მოლოდინში დრო კი ისე სწრაფად გალეულიყო, ვერც კი შეამჩნიეს ფანჯრებში ჩამოწოლილი ბინდი. ხალამოს ოთახში აცივდა და ყმაწვილებმაც ფეხების ბაკუნი და ხელების ქნევა დაიწყეს. ბოლოს უკანასკნელი იმედიც გადაეწურათ და მათი სიცილ-კისკისიც დაცხრა.

— ბიჭო, მალხაზია, თუ იცი, რა პირი უჩანს ჩვენს ლოდინს, გვაჭმევ პურს დღეს თუ არა?!. —შესძახა ფეხმოკეცილმა ახალგაზრდამ მეპურეს.

— ამიზა მორბოდი რაჭიდან, ბამია, შიმშილით რომ დაგეხოცეთ?!. კაი პურის ცხობა ვიციო, ქართულ პურს გაჭმევთო!.. აგია, ბიჭო, დანაპირები?!. თლა დაგვავიწყე პურის გემო და აგია! — დაუმატა მეორემ.

— უიმე, შე კაცო, ქვე შენი ჭირიმე, მე რა შვაში ვარ?! — როგორც იქნა, ამოღერღა ნირწამხდარმა რაჭველმა მეპურემ.

— რა თქვა ახლა მაგან?! არ ვარო შვაშიო?! აბა, მე ვარ შვაში, ბამია, თუ?!. არ თქვა მაგი! შენ გაბეყილ გამგეს ბახმაროიდგან თავის დროზე რომ ჩამოეზიდნა შეშა, ხომ კარგი იქნებოდა, — შენც მოითბობდი ხელს და ჩვენც!.. — დაუმატა ჩია ტანის მამაკაცმა და გარდიგარდმო ხელების ქნევა დაიწყო.

— ქვე შენი ჭირიმე, შე კაცო, მე რა მექნა?! — თავს იზღვევდა მალხაზია მეპურე.

—გაგიწყრა გამჩენი! არც დენია და არც გაზი, აგია საქმე?!. მოვკლავ იმ თავგასიებულ დანიელას, დენს რომ არ უშობს აქეთ!.. — მოთმინების ძაფი გაუწყდა ერთ ახალგაზრდას.

— რომ არ გყოფნით ახალგაზრდებს მოთმინება, აგია! — დარიგება დაიწყო კუთხეში მდგარმა ხანში შესულმა მოხუცმა.

— მართალს ბრძანებთ, ბატონო ფაიყო! — დაუდასტურა მეორემ და ულვაშები შეიხწორა.



— თლა წახდა ახალგაზრდობა! — წაეხმარა მას გვერდით მჯდომი ყაბალახიანი და ფეხზე წამოდგა.

— ითმინეთ, ბატონო!.. რომ ითმენდი ამდენ ხანს მეიგე რამე თუ?!. იმდენი ცხონება ბაბუაჩემს, რამდენიც პური გამოცხვეს დღეს აქანე! ვიდგეთ ახლა და ვუყუროთ ფქვილით სავსე ტომრებს და ამ გაციებულ თონეს, გამოვა აქედან რამე თუ?! — არ ცხრებოდა ახალგაზრდა.

— აგიც რომ გვაქვს, ბიძიკო, აგიც საქმეა, სხვაგან ფქილიც არა აქვთ, იცი შენ?! — შეეკამათა ულვაშებიანი.

— თუ არ გამოაცხობ და არ მეიხმარ, ქე იქნება აგი ტომრები მისდღემში პირსავსე!.. მისით დეიცლება თუ გამოცხობა, არ ვიცი!..

— საუბარში ჩაერია ბაკებიანი.

— მე თუ მკითხავ, — დაიწყო ისევ მალხაზიამ, — გურულები სულ არ უნდა ჭამდეთ პურს, ჭადი არ ჯობია ვითამ?!.

— ამის ჭკუის დარიგება გვაკლდა ახლა! აგია, ბიჭო, სამართალი?!. რას ამბობ, თუ იცი შენ?! — დაუბრიალა თვალები მალხაზიას ბაკებიანმა.

— გადვირევი სწორედ! დღესაც რომ არ წევიღო სახლში პური, დავლეწავ აქაუროზას! იქადნებოდა იგი და ხელისგულებს კარებზე იქავებდა.

— „ნააა-ნი-ნა, დელი აბა დელიასა...“ წამოიწყო ვიღაცამ.

— სიმღერა მინდა ახლა მე?!. გაჩერდი, თუ ძმა ხარ, მაქანე, თვარა, ქიმღვრა თავში სისხლი! — დაიქადნა ვიღაცამ.

ამ გახურებული კამათის დროს, უცებ, კარების ჭრიალი გაისმა. ყველამ იქით გაიხედა. კარებში გოგონა გამოჩნდა, იქაურობას ცნობისმოყვარობით მოათვალიერა და ახლობელი რომ ვერავინ შეიცნო, უკან გაბრუნება დააპირა, მაგრამ...

— უყურე ამას! — მოულოდნელად დაიყვირა მაღალმა, გამხდარმა კაცმა და თან კარებისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

— რა გინდა, გოგო, აქ, ვერ დაეტიე სახლში?!.

თითქმის ერთდროულად ყველა ერთ ადგილზე გაიყინა.

— მამა, აქანე ხარ?!. წამოდი სახლში, დედამ ლომი ჩაზილა და, წამოდი, დაგიბარა! — უთხრა გოგონამ მამას და მორიდებით შეხედა.

— მოვკლავ დედაშენს! შენ რავა გამოგიშვა, ბიჭი არ იყო შიინ?! წადი აქიდან! — დაუბრიალა შვილს თვალები.

ყურებამდე გაწითლებული გოგო იმავე წუთს გარეთ გასხლტა და ზამბარადამაგრებული კარებიც მიიხურა.

— ტყვილა არ დავალამე აქანე ყურყუტში?! — სიჩუმე დაარღვია ერთმა და ოთახიდან გავიდა. მალე მას მეორე მიჰყვა, მესამეც და... სათონე დაცარიელდა.

— რა ვქნა ახლა მე, ერთი ხემხი რომ არ მაქვს სახლში?! ელექტროწისქვილი არ მუშაობს და ღარის წისქვილი გაჩერებულია. სად წევიღო საფქვავი?! — ეუბნებოდა ამხანაგს უიმედოდ დარჩენილი დიმიტრი.

— ოჰ, რავა გედიწურე იმედი, შე კაცო?! წამოი ჩემსას და გამოგატან ქფილს, მიტუშე დოლაბერიძესას დავაფქვიე გუშინ, ხელის საფქვავი ჰქონია გაწყობილი შინ! ხომ იცი, კაი ხალხია, მიიტანე, დაგიფქვავენ!..

— ოჰ, მერიდება! — იუარა დიმიტრიმ.

— არ გადირიო! რა დროის მორიდებაა?! მორიდება გიშველის ახლა შენ?!. მიგყობი, თუ გინდა! — არ ეშვებოდა მეგობარი.

— კაი, აბა, გადმუალ შენსას! — უთხრა მან და გამოემშვიდობა.

— რა კაია იმედი! ერიცახე ყოფნის კაცს, მარა!.. — ფიქრობდა იგი და ხიდი ისე გაიარა, არც კი გაუხედავს გზის პირას ჩამწკრივებულ ფარდულებისკენ, სადაც ჩამავებულ -ჩაყვითლებულ მინებზე დიდი ასოებით ეწერა: პუ-რი, ფუნ-თუ-შა, ნა-ყი-ნი, სა-შა-ქარ-ლა-მო, მინერალური წყლები...

ანდა, რომ გაეხედა იქით, ეს დაცარიელებული ვიტრინები და თაროები დაამშვიდებდა?!

...სასწრაფოდ გაირბინა ეს ადგილი დიმიტრიმ, რადგან კაცი ამ ქვეყანაზე იმედით ცოცხლობს და მასაც იმ განწყობით უნდოდა შინ მისვლა, ცოტა ხნის წინ რომ გაუჩნდა და გული გაუხარა!..

ილუსტრაციები ბ. ლომიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიკოლოზ იოსებიძე

## სამართალმა პური ჭამოს, ჯობია!

როგორც შვილმა
დანა
ჩასცეს გულში
და მშობელი
გახდეს
მსხვერპლი შვილის, —
ისე ურცხვად
ჩავაფურთხეთ სულში,
ისე მტრულად
მოვექეცით თბილისს!..

ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ
ისევ ისმის თოფის ხმა,
მიზანს ხვდება
ავტომატის ჯერი!..
ვერ გავიგე,
დღეს ვინ არის მოყვარე,
ან ვინ არის
საქართველოს მტერი?!

პირველ რიგში
სამართალზე ვიფიქროთ,
რადგან მოხდა
ის, რაც დახაგმობია!
ჩვენ, ცალ-ცალკე,
თავებს ნ უ გავიმართლებთ,
ს ა მ ა რ თ ა ლ მ ა
პური ჭამოს ჯობია!

ახლა ყველამ
უნდა აგოს პასუხი,
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვინაც ორად გახლიჩა,
ვინც უმანკო
სულები და გულები
უ მ ო წ ყ ა ლ ო დ
დაფლითა და დაგლიჯა!..

გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ უ ლ ს
რომ არ ასამართლებენ. —
ეს არ გახლავთ
ჩვენთვის გამართლებული,
ვ ი ნ ა ი დ ა ნ
ჩვენ ყველანი დავმარცხდით,
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
არ ჰყავს გამარჯვებული!

## დღევანდელობის სურათი

იწყება ხვევნა-კოცნით და
დაუსრულებელ ალერსით,
ქალიშვილების სინაზით,
ვაჟების ენის გალექსვით!..

მერე — თანხმობა, ქორწილი,
მოგზაურობა — თაფლობა
და სიყვარულის მორევში
თხემით ტერფამდე ჩაფლობა!

მერე — ნაყოფის ჩასახვა.
დაბადება და ნათლობა,
მერე — ნელ-ნელა — ოჯახურ
სიძნელეების გაცნობა!..

ქალის ვერდედაკაცობა,
ვაჟის ვერმამაკაცობა,
მშობლების დამრიგებლური,
გრძნეულ აზრების არცნობა!

საქმეში დედამთილების
ცხვირის უტაქტო ჩაყოფა,
ჩხუბი და აყალმაყალი,
ორ მტრულ ბანაკად გაყოფა!..

მერე — პატარძლის გაბუტვა,
მშობლების სახლში გაქცევა,
რასაც მოყვება ოჯახის
ნალდად ბრიყვული დაქცევა!..

ეს გახლავთ, სამწუხაროდ,
სურათი დღევანდელობის,
მიზეზი გაჩანაგების
და საქართველოს მკვლელობის!..

ამიტომ ყველას გახსოვდეთ, —
არ ვერიდები არავის, —
სიყვარული და ქორწილი
ოჯახის შექმნა არ არის!

ოჯახს სჭირდება სიმტკიცე
და ნებისყოფა ფოლადის,
თორემ, ისედაც ცოტა ვართ,
მთლად დავეცემით ნოლამდის!

## პანდურები

სამშობლოს ვერვინ წაგვართმევს,
არც ვინმეს შევეცილებით,
მაგრამ მაღალი პოსტისთვის
ერთმანეთს დავღრღნით კბილებით!

— . —

ჩვენს ამოხოცვას რად უნდა
თოფი და ზარბაზანია?! —
ჩვენ მოგვსპობს უ ს ა ქ მ უ რ ო ბ ა,
ლ ო თ ო ბ ა, ნ ა რ კ ო მ ა ნ ი ა!

მოგვსპობს ს ი ც ი ვ ე, შ ი მ შ ი ლ ი,
ს ი ბ ი ნ ძ უ რ ე და ტ ი ლ ე ბ ი,
თუ არ გვექნება საპონი,
პასტა, სარეცხი ფხვნილები!..

## უკუღმა შეგონება

წუთისოფელი ასეა:
ღამეს დღე გაუქცევია,
რაც პაპებს უშენებიათ,
შვილიშვილს დაუქცევია!..

— : —

ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი,
დაურჩი დედაშენსაო,
მთლად უსაქმურიც რომ იყო,
ნუ ჩამოირბენ ჩვენსაო,

თორემ მოგცემენ ავტომატს,
იმ პატრონდასაწყევლსაო,
ძმის სისხლში ამოგისვრიან
მაგ ლამაზ პირს და ხელსაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე რომ ნამდვილად ვარსებობ
და რომ არა ვარ გიჟი,
ნამდვილად რომ ვარ ქართველი,
ქართულ მიწაზე ვიშვი,
თანაც შტერიც რომ არა ვარ,
მაქვს ამ ცხოვრების ნიჭი, —
რატომ მყავს ორი გოგო და
რატომ არა მყავს ბიჭი,
მეუღლე როგორ მექცევა,
რამე ხომ არ აქვს ჩინჯი,
სამსახურში და ოჯახში,
სულსწრაფი ვარ თუ დინჯი,
გვარში ვინ მყავდა ნასწავლი,
ქურდი ან რეციდივისტი,
მახსოვს თუ არა, რა ვჭამე
გუშინ, ან ერთი კვირის წინ,
რა მასტის მეგობრები მყავს,
მეზობლებს ხომ არ ვუჩივი,
ძილში ხმამაღლა ვხვრინავ თუ
ჩემთვისა ვგდივარ მუნჯივით,
მაღალი ვარ თუ დაბალი,
რომელ სიგარეტს ვეწევი,
უვიზოთ წასვლა თურქეთში
დღემდე რატომ ვერ შევძელი,
დღეს რა მისიით მივდივარ, —
ტურისტი ვარ თუ გზირი,



თვითმფრინავით რომ მივფრინავ,
თვალს ხომ არა მჭრის სხივი?! —
სანამ ამ ცნობებს ვიღებდი,
გულს რაღაც ჭია მხრავდა! —
დავხედე, გადავირიე! —
ვიზას გასვლოდა ვადა!..

**ზურაბ მამულაშვილი**




— დიდი რაოდენობით მარილი და შაქარი აღმოგაჩნდათ ორგანიზმში!..
— თქვენ გაგახარათ ღმერთმა, ექიმო! კარგად დააკვირდით, იქნება კარაქიც და კვერცხებიც აღმომაჩნდეს?!.

თემა მ. მერკვილიშვილისა

ნახ. ჯ. ლოლუასი

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ლომიძე



# ლოთობის საქმეთ

როგორც კი დავაწერე ეს სათაური ამ წერილს, იმ წუთსავე თვალწინ წარმომიდგა ათასობით გაანჩხლებული წყვილი თვალი, განსაკუთრებით ჩვენი ქალებისა („მდედრიონი“ არ მყავს მხედველობაში): — ა, ბატონო, გამოჩნდა კიდევ ერთი ქომაგი ჩვენი ერის დეგრადაციისა! — ვაქოთ ლოთობა, ისე ჩვენი მამაკაცები არ ეკარებიან ღვინოს! საჭიროა მოვუწოდოთ, რომ ნუ დაივიწყებენ, ნუ მიატოვებენ იმ „წმინდა სითხეს“, ასე რომ გაგვიმწარა სიცოცხლე და დანგრევის პირამდე მიმყავს ჩვენი ოჯახებით, და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

რა ვქნა, ჩემო კარგებო, იქნებ მართლაც არ არის საჭირო ალკოჰოლიზმის ქადაგება (ისე, კაცმა რომ თქვას, იქნებ მეც მქონდეს ამ იდეის საპირისპირო არგუმენტები, ნიმუშად კი მოვიყვანო მხოლოდ ბოლო იმპერიის ნგრევის ძირითადი მიზეზი — ანტიალკოჰოლური პროპაგანდა! ამით არ დაიწყო?!), მაგრამ არავის და არაფერს არ უნდა დაუკარგო კაცმა არაფერი — არც კარგი და არც ცუდი!

და მეც არ მინდა დავუკარგო ლოთობასაც, რაც სიკეთე აქვს და რისი უტყუარი არგუმენტებიც ხელთა მაქვს.

ასეთი შესავალი იმისათვის დამჭირდა, რომ ერთ შემთხვევაზე მოგითხროთ, როცა ლოთობის სიკეთემ მთელი სიკაშკაშით იჩინა თავი და ერთბაშად რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე იხსნა!..

შესვენების შემდეგ სამსახურში რომ მივედი, ხალხი უკიდურესობამდე შეშფოთებული დამხვდა!..

— რა ამბავია, რა მოხდა?! — ვეკითხებოდი ხან ერთს და ხან მეორეს, მაგრამ ჩემთვის არავის ეცალა!..

— ამბობენ, ვერც ერთი ვერ გადარჩებაო! — მოვკარი ყური.

— რა გადაარჩენს, ზოტულიშვილი ყოფილა!..

— არა, მაინც, ბავშვებს როგორ აჭამეს მოწამლული კონსერვი?!.

ამას დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

— შენც იტყვი, რაღა?! — აღშფოთებული შეეპასუხა ერთი, — ვინ იცოდა, რომ კონსერვი მოწამლული იყო?!.

— აბა, რა აჭამონ ბავშვებს, როცა ან არაფერი იშოვება ან, თუ იშოვება, ყველაფერს ცეცხლი უკიდია!..

— გოგა ბეწუკელის მეტი ვერავინ ვერაფერს უშველის!

— ჰო, ჰო! — აიტაცა ვიღაცამ ეს სახელი. — ამბობენ, ამ საქმეში ის პირდაპირ სასწაულებს ახდენსო!

— კი ახდენს, თუ, ჯერ ერთი, დროზე მიუსწრებს, და მეორეც, იპოვი ახლა იმას მილიონიან ქალაქში, თანაც ტელეფონებით?!

— როგორ, არსად მუშაობს?! შინ არ ექნება?!

გოგა ბეწუკელის სახელის გაგონებაზე ყურები ვცქვიტე. აქამდე ჩემს მუდარას, — აეხსნათ, რა ხდებოდა, ვის ეწვია ასეთი უბედურება, — არავინ აქცევდა ყურადღებას. ახლა, — გავიფიქრე, — პირიქით, აქეთ დამიწყებენ ხვეწნას და მუდარას, მოგვაძებნინეო, საქმე ადამიანების, მთელი ოჯახის სიცოცხლეს ეხება და ა. შ. გოგა ბეწუკელი ხომ ჩემი განუყრელი მეგობარი და ჩემი მუდმივი თანამესუფრეა, ვისაც წუხელისაც ისე დავშორდი, — მე ხომ არ მახსოვს, დარწმუნებული ვარ, არც თვითონ ახსოვს რამე!..

— აღარ იტყვით, რა მოხდა?! — ავუწიე ხმას.

შენც არ მომიკვდე! ვინ გაქცევს ყურადღებას?!

— გოგა ბეწუკელი ჩემი ბავშვობის მეგობარია!..

ვერ მოვასწარი დამემთავრებინა სიტყვა, რომ უცბად რამდენიმე დაღებულმა პირმა შემომიტია აღშფოთებით:

— შენი მეგობარია და გაჩუმებული ხარ ამდენ ხანს?! საკითხი მთელი ოჯახის სიკვდილ-სიცოცხლეს ეხება, ეს კი, ვითომც აქ არაფერიაო!

ერთი სიტყვით, თავის მართლების დრო აღარ იყო. ვიცოდი, რომ გოგა დღეს შინ უნდა ყოფილიყო. ისეთი სამუშაო გრაფიკი აქვს, ვერ გაერკვევა კაცი: ერთ დღეს რომ წავა სამსახურში, მერე სამი დღე შინ უნდა იჯდეს, თუ, რა თქმა უნდა, ამის საშუალებას მისცემენ, აი, ასეთი შემთხვევები!..

ეს დღევანდელი შემთხვევა კი ნამდვილად განსაკუთრებული იყო. გოგამ ამ სამი თვის წინათ ბინა გადაცვალა, იქ კი ტელეფონი ჯერ არ ჰქონდა, სამსახურში არავინ ზუსტად არ იცის მისი მისამართი. მოდა, წადი და ეძებე შუბი ხალთაში!

მე კი ვიცი მისი სახლი. ამ სამი თვის მანძილზე ერთი ათჯერ მაინც, თუ მეტჯერ არა, ვიყავი მასთან შინ — ხან ახალმოსახლეობაზე (მგონი, სამჯერ მაინც), ხან შემთხვევით, ხან სხვა ოჯახში სტუმრობიდან გამოვიარეთ და, კიდევ რა ვიცი!..

გოგა კარგი სპეციალისტი რომ იყო, კი ვიცოდი, მაგრამ თუ ასეთი სახელი ექნებოდა და ასეთი შეუცვლელი იქნებოდა, ჩემდა სამარცხვინოდ, არც ვიცოდი. აგერ, ბატონო, ახლაც, თურმე სასიკვდილოდ განწირული ოჯახი მხოლოდ მას შეუძლია გადაარჩინოს!

— მითხარით, ვისთან უნდა მივიყვანო გოგა ბეწუკელი! — უკვე კატეგორიულად მოვითხოვე მეც ყურადღება.

თურმე ჩვენი ყველაზე გაჭირვებული თანამშრომლის, ექვსი შვილის პატრონის ოჯახი მოწამლულა. სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წუთებზე იყო დამოკიდებული!.. მთელი ოჯახი საავადმყოფოში კი წაუყვანიათ, მაგრამ უგოგოდ ვერაფერს გახდნენ!..

გამოვვარდი გარეთ, დავიჭირე ტაქსი და გავქანდი გოგას სახლისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



კენ. გავქანდი კი, მაგრამ, ვაი, სირცხვილო! ყველაფერს რომ თავი დავანებო, ტაქსის მძღოლისა მერიდება — ავდივართ და ჩავდივართ ერთი უბნიდან მეორეში, ბინა კი ვერ მიმიგნია. გაგიგონიათ, კაცო, რომ მეგონა, თვალდახუჭული მივაღგებიმეთქი იმის სახლს, ახლა ვძაბავ მთელ ყურადღებას, მაგრამ... შენც არ მომიკვდე!

ტაქსის მძღოლმა ჯერ იფიქრა, მართლა შეეშალა მისამართი და ვერ აგნებსო, მერე, როცა გაიგო ხშირად დავდივარ ამ საძებარ კაცთან და გუშინაც კარგა გამტყვრალი დავბრუნდი იმის სახლიდან, გამიბრაზდა, — სასაცილოდ ვის იგდებ, რა დროს ლაზღანდარობააო. და კინაღამ გადმომაგდო მანქანიდან. ალბათ, ისევ ტაქსომეტრმა მიხსნა, ამდენ აღმართ-დაღმართში გვარიანად რომ აეკრიფა სიდიდეები და რისი გადაუხდელობაც, ცოტა არ იყოს, არც ისე ხასიამოვნო უნდა ყოფილიყო მძღოლისათვის!

ბოლოს, როცა დავიფიცე ყველა საფიცარი და გულწრფელი შეშფოთებაც ამოიკითხა ჩემს თვალებში განწირულთა ბედისათვის, დამიჯერა იმ მამაცხონებულმა და ერთობ მორიდებით თქვა:

— ამდენ ხანს სიკვდილის პირას მისული კი არა, ჯანღონით აღსავსეც ენერგიისა და სიცოცხლის ნიშანწყლისაგან დაიცლებოდა!..

— რა ვქნა, აბა?! მირჩიე რამე და ისე მოვიქცევი!

— სულ იქ ვარ ხოლმეო, — შენ არ იძახი?!

— კი ვიძახი, მაგრამ, ალბათ, ყოველთვის ნასვამი მივდივარ და იმიტომ აღარ მახსოვს! — დავიწყე ბავშვივით თავის მართლება.

ამ სიტყვებზე ანაზდეულად მძღოლს შევხედე და კინაღამ გავარტყი, ისე გაებადრა სახე და აუყვავდა ხარხარი.

— ეგრე გეთქვა, შე კაი კაცო! — ამოიხარხარა მან, — ბოლოს ხად დალიე და საიდან მიხვედი შენს მეგობართან?

— გუშინ იყო სწორედ, საღამოს. სამსახურიდან მოვდიოდი, „ლეწვებთან" შემხვდა ჩემი მეგობარი, ერთიორი ბოთლი დავლიეთ. მეჩქარება, — რომელიღაცამ მოვიგონეთ (სინამდვილეში მეტის გადახდის საშუალება არა გვქონდა) და გარეთ გამოვედით. აქ ჩემს მეგობარს გაახსენდა, რომ შინ ეგულებოდა კიდევ ერთი-ორი ბოთლი და — ჩემთან წავიდეთო! ხომ იცი, სალერღელი რომ აგეშლება და ნებისმიერი წინადადება ერთადერთი გამოსავალია!..

— სადა, სადა?! — ჩამეძია ისევ მძღოლი, — „ლეწეში" ამბობ, ხომ?!

ორ წუთში „ლეწეში" ვიყავით. ტაქსისტმა თითქმის ძალით გადმომსვა მანქანიდან, — ნუ გეშინია, რესტორნის ფულს მე ვიხდი, ოღონდ ყველაფერი სწრაფ ტემპში უნდა გაკეთდესო!

შევარჩიეთ თუ არა ადგილი, დაჩქარების მიზნით თვითონ მივიდა ბუფეტთან, აიღო ორი ბოთლი ღვინო, ერთი ჭიქა და მომიჯდა გვერდით. თავისთვის მისაჭახუნებლადაც არ ჩაისხა წვეთი ჭიქაში. დამისხამდა, — ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოსო! — იტყოდა თვითონვე და მიწვდიდა ჭიქას ხელში.

ასე სწრაფად, თანაც როგორი ჩქარის მიტანილ სასმელს, მე ჯერ არასოდეს არაფერი დამილევია! ხუთ თუ შვიდ წუთში ერთი ბოთლი მთლიანად და მეორე ნახევრად ჩამოვცალე. სხვა დროს ოთხი ლიტრიც დამილევია, იშვიათად — ხუთიც, მაგრამ ასე რომ დავმთვრალიყავი, არ მახსოვს!..

— დალიე ერთი ჭიქაც! — მიბრძანა მან.

— ეს ერთი მაპატიე! — ძლივს ამოვილუღლუღე და, ეტყობა, ისეთი საცოდავი სახე მქონდა, ნაღდად შევეცოდე მძღოლს!..

ხელკავით გამომიყვანა გარეთ. ჩამსვა ისევ თავის გვერდით და, ვითომ არაფერი მომხდარიყოს, შემეკითხა:

— საით, ხაზეინჯან?

მანქანის ბორბლები ერთხელაც არ გადატრიალებულა ზედმეტად.

— ეგრე გექნა ცოტა ადრე რაღა, შე კაი კაცო! მეც ნერვები დამაწყვიტე, შენც შეშლილივით გაგიხდა სახე. იქ კი, ვინ იცის, ავადმყოფებს როგორ უჭირთ?!

ავადმყოფებს არაფერი გასჭირვებიათ. გოგა ბეწუკელს ოქროს ხელები და ასეთივე გული აქვს.

ჰოდა, მოდი ამის შემდეგ და არ დაინახო ლოთობის სიკეთე!




ნახ. გ. ამაშუკელისა



# როცა ჭკუის ქალს სჭამს!..

**ერთი ამბობს:** შაბათს, დილაადრიან ბალ-ბოსტანში უნდა წავსულიყავით. იქ ჩვენ ნამდვილი სამოთხე გვხვდება — წყნარი, უხმაურო, ამწვანებულ-აყვავებული მიდამო, საკუთარი მზე და წმინდა ჰაერი!.. მაგრამ სად არის ჩვენთვის ოჯახური სიამტკბილობა?! — პარასკევს, საღამოდან ,ველოდეთ ჩვენი ოჯახის უფროსს. დიდხანს, დიდხანს ველოდეთ. შუაღამე გადასული იყო, რომ ველირსეთ მის დანახვას. რეტიანივით, ტორტმანით მოადგა სახლის კარს. რასა ლუღლუღებდა, ვერა გავიგეთ რა!.. რას გავიგებდით?! — ენა აღარა ჰქონდა. ადამიანს აღარა ჰგავდა. „არა ძაღლიცა ჰლოშნიდნენ პირსა მისსა," რომ იტყვიან, იმაზე ზედგამოჭრილი იყო. მე და ჩემმა დედამთილმა რის ვაივაგლახით გავხადეთ ტანსაცმელი და დავუშვით ლოგინზე!.. აბორგებულმა გულმა კარგა ხანს არ მოასვენა!..

— გაგონილა, ქა — ოხვრით ამბობდა დედამისი, მაგის მამას თავის სიცოცხლეში ულვინოდ პური არ უჭამია და მე ის ასე გაუბედურებული არ მინახავს. შეიძლება, ხალხნო, ღვინის, წამალივით შემრგო ღვინის ეგრე დამცირება, ეგრე მასხარად აგდება?!

მე და ჩემმა დედამთილმა ვიცით, რომ მთვრალთან ლაპარაკი ამაოა და მეორე დღეს ფხიზელს უნდა წავუკითხოთ ნატაციები, მაგრამ წარმატებით მაინც ვერ გავიხარეთ — სად აქვს დრო ჩვენდა სასმენად?!.

**მეორე ამბობს:** ვაი ჩემ თავს! ბედნიერი ჰყოფილხარ, ჩემო კარგო! თუკი, უკაცრაული პასუხია და, ღვინით გალეშილს მაინც შეუძლიან დაემორჩილოს პატრონს, დაწვეს ლოგინში და დაძინება ისურვოს, ეს კიდევ ასატანია! ჩემსას? მოკალი და ლოგინისკენ წაიყვანე! — ლაპარაკად იქცევა, უშნო ალერსით აგვიკლებს, მთლად გადაირევა ჩვენი სიყვარულით, რაღას არ იტრაბახებს, რაღას არ დაგვპირდება!.. ეგრე მთელ ღამეს გაგვათენებინებს. მეორე დღეს არც ერთი არ ვვარგივართ სამუშაოდ!..

**მესამე ამბობს:** ჩემი ბედოვლათი მთლად კარგავს გონებას, რა წყალში ჩავვარდე, არ ვიცი! ჯერ რა გამომუშავება აქვს და ისიც გამოსაფხიზლებლის ჯარიმებში მიგვდის! ჩემი დედამთილი მამშვიდებს: „ნუ გეშინიან, სულ ასე ხომ არ იქნება, შეიცვლის ზნესო!" როდის?! როცა დაავადმყოფდება წრეგადასული სმისგან?!

**მეოთხე ამბობს:** უშნო ალერსიო? ამ ჩემ ძვირფასს ერთი კარგი სიტყვა არ წამოსცდება სიმთვრალეში. პირიქით, თუ ოდესმე რამე სწყენია, მაშინ გაიხსენებს, დაგვლანძღავს ოჯახის წევრებს, დაგვამცირებს, ქვეყნის მაიმუნს გაგვხდის!.. სიტყვას შეუბრუნებ? — უფრო გაცეცხლდება და გადაჰყრის ფანჯრიდან, რასაც მოიხელთებს. გაიპარება ჩემი გოგო, დასამტვრევს თუ აღარა ეშველება რა, ბალიშებსა და ტანსაცმელს ამოიტანს სახლში. კიდევ კარგი, რომ შუაღამისას გარეთ არავინაა! სხვაც არა იყოს რა, მეზობლებისა მრცხვენიან, არაფერს გვეუბნებიან, მაგრამ ხომ ვიცი, წუხდებიან ჩვენი დავიდარაბით! როცა გამოფხიზლდება, ბატკანია ნამდვილი, მაგრამ ჩემს გადატრიალებულ ნერვებს [illegible] შვიდებს. ნეტავ მაგისი სამსახურის კოლეგებს არ შემახვედრა, ვიცი, რომ არც იქ არგია საქმეს, ლოთობა და მუქთახორობა ნათქვამია, ძმები არიანო!

**მეხუთე ამბობს:** მე ჩემი შვილებისა მრცხვენიან! — რა პატივი უნდა გვცენ ჩვენ, დედ-მამას? და თუ შვილების პატივისცემას ვერ დავიმსახურებთ, რად გვინდა თავი ცოცხალი?! მე ჩემი დარდი არა მაქვს. დედამთილი მებრალება, ხანში შესული ქალია, მრავალჭირგამოვლილი!.. ესღა უნდა?! ეუბნება: **„შვილო, შემთვრალეხა კაცხა, ხულხანხაბა ორბელიანის ქადაგებიდან ვიცი, ღვიძლი განუხურდების, გონება დაუხუსტდების, ხიმრთელე გაეცლების და გვამთა აგებულება ხნეულებითა ძლევხების, თავის ტკივილი განუმრავლდების, თვალთა ხიწითლე განუხშირდების, მხედველობა და ხინათლე მიაკლდების, ყურნი ხმენად დაუმძიმდებიან, გულთა მფლობელობა უხუხურ იქმნებიან, ტვინნი დაუთხელდებიან და ჭკუა და ცნობა დაეფანტებიან, თავნი და ხელნი თრთოლას დაუწყებენ!.. აგრემც დედა მოგიკვდება, ხედავ, ხელები როგორ გიკანკალებს?! ნუ იზამ, დედა გენაცვალოს!"** მაგრამ ეყურება?!

**მეშვიდე ამბობს:** ჩემს ქმარს არც ფეხი ერევა, არც გონება და არც ენა, მაგრამ თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული აქვს იმ ჩემი ცოდვით სავსეს და ღვინო დაელევა? მოვა გადაკრულში და თავს გაიმართლებს: ისეთი სიტუაცია შეიქმნა, თავი ვერ დავაღწიეო! იმას ჰგონია, სულ ასე ახალგაზრდა იქნება და ორგანიზმი ყოველთვის გაუძლებს. სიტუაციაო! არ ვიცი, რა ვუყო მე ამ **მოხშირებულ სიტუაციებს!..**

— რა უნდა უყო? — **ამბობს მეშვიდე,** — თავისუფალ დროზე სხვანაირი მოვლა უნდა, დაო! ამაზე უნდა ვიფიქროთ და დავაფიქროთ ისინიც — თავიანთი და ჩვენი ჯანმრთელობის მტრები!

**ლალი მარტაშვილი**

ნახ. ბ. ზუბაშვილისა



დავით ხუროძე

# (იუმორესკები)

## ერთხმად!..

ზადამთვრალი მაჭყანია ერთ ნაცნობს შინ მიადგა, მასთან ქაშერი ღვინო რომ ეგულეგოდა. მასპინძელი იქვე ჩაიკუზა, შუშაბანდში დაიმალა, მაგრამ თავი უჩანდა.

— ერთი ფეხით გაგასწროთ! — გამოეგება მასპინძლის ცოლი.

— მეორე ფეხით გამოვიდეს, უთხარით და, როცა ხალმე წავიდეს, თავი თან წაიღოს, შუშაბანდში დარჩენია! — მიუგო მაჭყანიამ.

## ვითომ ქვეყანა დეიქცევა?!

ალაპეზის ტრფიალ ბესარიონს მოხუცი, მისი კბილი მეზობელი გარდაეცვალა, რომელსაც ყალბი ხმით, ხმამაღლა დაატირა:

— ბიჭო კალისტრატე, ახე ადრე რა მიგაფაფხურებდა, შე კაცო, ცოტა შეგეცადა, ხვალ-ზეგ მეც ქე წამევიდოდი, აბა, აწი რაღა მოხელე ვარ ამ ქვეყნიერებაზე?!.

— ბატონო ბესარიონ! — გაუბედეს მეორე დღეს ანგალმა ბიჭებმა, — რატომ იცრუეთ იმ პატიოსან კაცთან, ხვალ როგორ წახვალთ?!

— რა გითხრათ, იცით?! თქვენ ცოცხლებს ყოველდღე ატყუებთ და მე რომ ერთხელ მკვდარი მოვატყუო, ვითომ ქვეყანა დეიქცევა?! — გაცხარდა ბესარიონი!..

* * *

ოთარ კახიძეს ერთხელ იხუმრა და მაჭყანიას შინ ხალხი გაუგზავნა.

— თქვენთან მოგვახწავლეს, მიცვალებული გვყავს გახაბანი!

— თუ მკვდარი კახიძეა, ახლავე მოვდივარ! — ხიცილით მიუგო მან.



* * *

— კიდო ჭდაბნი, მაჭყანია, იმ ბრძოხიტიან ლექსებს?

— ვჭდაბნი კი არა, ვწერ! გეივლის ერთი ახი წელიწადი და, იცოცხლე, მერე ქე დეიწყებენ ჩემს ქებას! ვინცხა გამოძლება, დისერტაციასაც ბეთქავს, მარა მე რაი მერე?!.

— ახი წლის შემდეგ ვინ გახსენებს, შე გაჭირვებულო, ახლაც არავის უნდებხარ!..

## ჯიბეგაფხეკილები

ერთხელ ბესო და ტარასია შუა ბულვარში ბომხეულნი და გადაპინწილებულნი ხის ძირას იდგნენ და ვინმე ისეთ ნაცნობ, მადლიან გამომვლელს მოელოდნენ, რომ დაპატიჟებდათ, პახმელიაზე გამოიყვანდათ და ცოტას გადააკვრევინებდათ კიდეც!..

ამ დროს გამოჩაკუნდა პლატონა, რომელმაც ღიმილით იკითხა:

— აქ რას აკეთებთ, ბოშო, ბლაღოჩინის ტროსტებივით რომ აყუდებულხართ და მზეს ეფიცხებით?!.

— ბაწარზე გადასაკიდებლები გავხდით, შიმშილით სული გვძვრება, ამ ჭადარს ვუმადლით, რომ არ წავქცეულვართ!..

და ძმაკაცების გულში იმედის ნაპერწკალმაც გაკვესა, გაიფიქრეს, იქნებ ღმერთმა გადმოგვხედოს, ამ კაცს ჯიბეში ხულ მორიელი ხომ არ ეყოლებაო?! მაგრამ პლატონმა მუდარით წარმოთქვა:

— მანდ ჩემთვის მესამე ადგილი ხომ არ იქნებოდა?!.



## მუზა სახლისთავზე

— ვინ ოხერია, ამ კრამიტებზე რო დაბაბაკობს?!. წმინდა წყლის დამლევი იქნება ახლა ეს უბედური?!

— მოიცა, მოიცა! უყურე შენ! ალბათ, ესეც ახალი მოდაა, სახლის გატეხვას ზევიდან თუ აპირებს! — იფიქრა გვარიანად შიშნაჭამმა ბესარიონმა, ხიმჭნევე მოიკრიბა და, მთვარის შუქზე, სახურავზე წამოყუნტულ უცნობ ლანდს მაინც ომახიანად გახძახა:

— მეი, რომელი ხარ, ბოშო?! ამ შუაღამისას რას დაბჟუალობ მაქანეი?!

— მე ვარ, ხელს ნუ მიშლი, მუზა მომივიდა, ბესარიონ ბაბუა! — ჩამოსძახა მაჭყანიამ.

— რაღა ჩემი სახლისთავზე დაგებდღვნა ის მუზაა თუ ხარაბუზა, შე ბაზრის ღვინო?! ამ კრამიტებს რომ მილეწავ, მერე წვიმას პეშვები შევუშვირო?!.

— ჩემი სახლზე მე ვიცი, აქანე მთვარე ძაან ხოშიანად ანათებს!..

— ჩამოშავდი, მაჭყანია, ძირს, რო ჩამოვარდე, კვახივით გახკდები! არ ამომიყვანო, თვარა იმდენს გირტყამ, დოხტური დიაგნოზს ვერ დაგისვამს!..

— მახეა ყველა! არა, არ ჩამოვალ, ფრთები მინდა, ფრთები!..

— მთლად არ მოგებია ბოლო?! აღარ მორჩება ეს დამთხვეული! — დაახკვნა ბესარიონმა, იქვე ძელსკამზე ჩამოჯდა და ძალაუნებურად კიდევ ერთი უძილო ღამის თეთრად გათენებას შეურიგდა!..



ეროვნული ბიბლიოთეკა

**კახაბერ პავლიაშვილი**

# ღმერთების ფეხბურთი

**იუმორესკა**

**სიზმარია, ცხადია,** თუ ზმანების წუთია?! —
თითქოს ცხადად ვხედავდი, სული ისე მიხუთს!..
შეხედეთ — **დედამიწა** დიდი, მწვანე ბურთია
და **ღმერთები** დედამიწით თამაშობენ
**ფეხბურთს!..**

ზოგი ნაღდი **ღმერთია,** ზოგიც — **კანდიდატია!..**
ხუთ მილიარდ მაყურებელს ცნობას აწვდის
რადიო,
კარს არ იცავს ბადე და ნისლის შავი მანტია
ქამარივით არტყია მოგუგუნე **სტადიონს!..**

მსაჯი არის **ულმერთო** (კონკურსში სხვებს
აჯობა!),
მოგება და წაგება მას ფეხებზე ჰკიდია!..
ცხოვრებაში პირველად დღეს მიანდეს მსაჯობა,
და, ამიტომ, თამაში ჯერ არ გაუყიდია!..

**აპოლონი** (მეკარე) დღეს თამაშობს
ბრწყინვალედ!
**დიონისე** ფხიზლად დგას, დაცვას ვინ
გაურღვევს?!
**ზევსი** გარემარბია, ყოველ მხრიდან
მრისხანებს,
**მარსი** ცენტრში ბობოქრობს და **აპოლონს**
უბღვერს!..

**ჰერაკლე** ბურთს ვერ სწვდება (თუ დაარტყა, —
დახევს!..),
**პოსეიდონს** ბუნებამ სისწრაფე მიანიჭა!..
**ატლანტი** მეცხრე ცაზე სასწაულებს ახდენს,
**ჰეფესტოც** დაკინკილებს, უძახიან **„გარინჩას"!**

მაყურებელს ჯერ მატჩი არ უნახავს ასეთი,
თუმცა უკვე დაბერდა და ადამის ხნისაა!
უჩვეულო წესებით თამაშობენ ღმერთები —
ვინც პირველი გაიტანს, — წაგებულიც ისაა!

თვალთახედვას ატკბობდა ღმერთების იერიში,
ტაიმის დასასრულს კი ბრძოლა უფრო
გამწვავდა!..
შეისვენეს ღმერთებმა და მეორე ტაიმში
**დიონისე** მინდორზე... მთვრალი
გამოგანცალდა!..

საჯარიმოს კუთხეში ბურთზე ფეხი აუცდა,
ვერ მოზომა დარტყმა და წააქცია **მარსი!..**
მსაჯმა სასტვენს ჩაჰბერა, ხელი მაღლა შემართ
და **პენალტი** დანიშნა **აპოლონის** კარში!..

**მარსი** გახარებული ბურთს ასწორებს
ნიშნულზე, —
ჰეი, ჩქარა დაარტყი! — აქეზებენ ბრიყვები!..
სტადიონი ბობოქრობს!.. მესმის მრავალ ენაზ
ლოცვასავით ნათქვამი ჯადოსნური
სიტყვები: —

„ჩვენი კარის დარაჯო, მარადის რომ
გვენატრი, —
სილამაზის ღვთაებავ, — სიყვარულში ნაპოვნო
ვცოცხლობთ შენი იმედით, არ გაუშვა
**პენალტი!** —
უნდა **გადაარჩინო** დედამიწა, **აპოლონ!..**"



— ძია, რა ღირს თქვენი, კარტოფილი?
— თითო ცალი — თითო ავტომატის ტყვია!

* * *

— დევიდუპე!.. ძროხა აღარ მყავს!..
— რა მოუვიდა, კაცო?! ოქროსხავით ძროხა იყო!..
— რო გეიგო, 1 კილო ყველი 150 მანეთი გახდაო, უდალატეს ნერვებმა და ბაწარზე დამხვდა ჩამოკიდებული!..

* * *

— ორი ცარიელი ბოთლი ჩამარტყა ჩემმა შვილმა თავში წუხელ!..
— ო, რა ხუხტ ბოთლებს უშვებენ ეს შობელძაღლები!..

* * *

— რა უნდა გაკეთდეს, რომ საქართველოს ეკონომიკა აღმავლობის გზას დაადგეს?
— მიტინგებიდან პირდაპირ, ორგანიზებულად უნდა გაემართონ... სამუშაო ადგილებზე!..

* * *

— კიდევ ჩეიჭრა გამოცდაზე შენი ბიჭი, ელიკო?!
— აპა, საწყალი!.. საბიზნესოზე აბარებდა და 8000 მანეთი დაკლდა!..

* * *

— კი მაგრამ, ათმანეთიანი მოგეცით და ხურდა არ მეკუთვნის?!
— ხურდის მოცემას 6 მანეთი უნდა!..

* * *

— ეს თაგვი რატომ გყავთ გალიაში?
— ვეიდი, გენაცვალე, 800 მანეთად!.. მაგი შენ უბრალო თაგვი არ გეგონოს, ორი 1000-მანეთიანი ჯიბხი დამიჭრა შინ!..

* * *

— კიდევ შემომატყუეს, ქალო, ყალბი ასმანეთიანი!
— რაზე შეატყვე, ბოშო?!
— ერთი მანეთი აწერია ზედ და ლენინიც არ ახატია!..

* * *

— რა საჭაპურს აცხობს, ბიჭო, ანზორიეს დედა!.. რომ ჩაკბიჩავ ყველი ჭიპჭრამდე იწელება!

— ისა, ჩემალიეს დედა აკეთებს საჭაპურს?! რომ გატეხ, ყველი კამათელივით ცვარდება გარეთ!

* * *

— ქორწილი გადავიხადეთ, ხუხუტიამ უნდა დეიტრაბახოს, ძმაო! იმხელა ხუფრა ქონდა, მერიქიფეები სულ კალიასკიანი მოტოციკლებით დარბოდნენ!..

* * *

— მათხოვე, ბიჭო, ქიშვარდია, შენი ტროლეიბუსი, ცოლი და ბავშვები მიმყავს ქობულეთში დასასვენებლად!..

* * *

— მოკვდა საწყალი სევერიანე!..
— რას არ კადრულობს ზოგიერთი, ვალი რომ არ გაისტუმროს!..

* * *

— ხუთივე ბიჭს სათითაოდ გამოვუყვანე „ჟიგულები“, ძმაო!
— მეექვსე რომ გამოგყავს, იმას რას უშობი?
— ბიჭო, მეექვსე „ჟიგული“ ვიშოვე და მეექვსე ბიჭი გამიჭირდება ახლა მეე?!

* * *

— ქალიშვილს ვათხოვებ!., სასიძოს, — შოფერი ვარო, — და მზითევში „ჟიგულს“ მთხოვს!..
— მზარეულისთვის მიგეთხოვებია, ტაფას ქე მოაბამდი თავს!

* * *

— შეხედე ერთი ჩვენს ქეთინოს, ყოველდღე ახალ-ახალ „შმოტკებს“ იცვლის!
— ეშ! შენ იცი, მაგას რავარი „სპონსორები“ ყავს?

* * *

— ზღვა დასინძურდაო, მთა დაავადმყოფდაო!.. კი მარა, შვებულებას რომ აიღებ, სად უნდა დაისვენო, არქიფო?
— ძაან კარგად ვისვენებ მე! ჩემს კაბინეტში!

ჩაიწერა მურმან მერკვილიშვილმა



ნახ. ი. გვილავასი

— მე ძველებურად შაური მიჯდება მეტროთი მგზავრობა!
— კი მაგრამ, როგორ?!
— შინ მისვლამდე თორმეტჯერ ვმგზავრობ ახმეტელის თეატრამდე და უკან!..

672/60




— მიხეილ სერგის ძევ, თქვენ ამერიკაში განაცხადეთ, რომ სამი-ოთხი წლის შემდეგ აპირებთ პოლიტიკურ ასპარეზზე დაბრუნებას!..

— დიახ, ვაპირებ, რადგან ვერ მოვასწარი საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ბოლომდე დანგრევა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა


ჟურნალი „ნიანგი
№ 11-12. (1862). ივ
გამოდის 1923 წლის
სიდან.

მთავარი რედაქ
ზაურ ბოლქვა

სარედაქციო კოლ

მურთაზ აბაშიძე, აკ
ადეიშვილი (პასუხი
ლი მდივანი), ჭაბუა
ჯიბი, ნოშადი ბ
რევაზ თვარაძე,
ლოლუა (მხატვარ
ტორი). ნოდარ
ნია, რევაზ მი
ალექსანდრე სამსო
ჟან სიხარულიძე (
რედაქტორის მოა
ჯანსულ ჩარკვიანი,
წივწივაძე.

ტექნიკური რედ
ირაკლი დუნ

გადაეცა ასაწყობა
20. 05. 92 წ. ხელ
ლია დასაბეჭდად
92 წ. ქაღალდი
$60 \times 90^1/_8$, ფიზიკ
ბეჭდი ფურცელი
რიცხვო-საგამო მ
თაბახი 3,6. საქარ
ჟურნალ-გაზეთები
მცემლობა „საშ
შეკვ. № 837. ტირ
ჟურნალი გამოდი
ორჯერ. რედაქცი
მოსული მასალებ
რებს არ უბრუნდ

ჩვენი მისამართი:
თბილისი-8, რუ
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთ
დაქტორის —
მთ. რედ. მოადგ
93-19-42, პ/მგ
93-10-78, მხატვ
ტორის — 99-02
ყოფილებათა გამ
93-49-32, რედაქ
მუშაკების — 99-0
ვან-მემანქანის —

Сатирико - юм
ческий журна
АНГИ» (на гр
языке). Тбил
Руставели №

ფასი


ინდექსი 76137